



ქართული
ნიუმერი 21

მოკამარე

წამლიწადი
კირვილი

შაბათი, ნოემ. 26.

1921 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 21

ეგვიპტე კვირეული ორგანო.

№ 21

რედაქციის მისამართი:

შან. ხაქ. სახ. კომისარიატის ბანკ: ევანგელის ქ. № 1.
(ყოფილ — კაპიტან კარაქისის შენობა) ტელეფონი № 6-90.

რედაქცია დღა: ეგვიპტე დღე დიდის 9 ს. — 2 საათამდე.

რედაქტორის ნახვად შეიძლება 12 ს. — 2 საათამდე.

ოფიციალური განყოფილება

დეკრეტი № 79.

ხაქ. ხოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტეტისა.

საზღვაო ტრანსპორტის მმართველობის საქართველოს რევოლუციონური კომიტეტისადმი უშუალოდ დაქვემდებარებისა და საქართველოს და აფხაზეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების საზღვაო ტრანსპორტის გაერთიანების შესახებ.

ამა წლის მაისის 18 თარიღითა და 52 №-ით გამოცემული ბრძანების შესაცვლელად — საქართველოს რევოლუციონური კომიტეტი ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყველა საფაქრო ნავთ-სადგურის მმართველობა და აგრეთვე მათი ექსპლოატაცია გამოყენებულ იქნეს დამოუკიდებელ საზღვაო ტრანსპორტის მმართველობად და უშუალოდ დაექვემდებაროს საქართველოს სოც. საბჭ. რევოლუციონური კომიტეტს.

2. თანახმად აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის ამა წლის სექტემბრის 2-ს თარიღის დადგენილებისა აფხაზეთის და საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის გაერთიანების შესახებ, — დაარსდეს საერთო მმართველობა საქართველოს და აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკების საზღვაო ტრანსპორტებისა, რომლის გამგებლობაშიც შედის ყოველი ნავთსადგური და საზღვაო სააგენტო შავიზღვის სანაპიროზე — ბათუმიდან — გაგრამდე.

3. მმართველობის სათავეში მდგომი — საქართველოს და აფხაზეთის საზღვაო ტრანსპორტის უფროსი საზღვაო ტრანსპორტის საქმეთა გამოუშუალოდ წარუდგენს ხოლმე მოხსენებას საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარეს, ხოლო — პრინციპიალური ხასიათის საკითხების გადაწყვეტის დროს რევოლუციონური კომიტეტის პრეზიდიუმს.

4. აფხაზეთის ტერიტორიაზე იმყოფება საზღვაო ტრანსპორტის წარმომადგენელი — საზღვაო ტრანსპორტის უფროსის თანაშემწის თანამდებობაზე, რომელსაც სრული უფლება აქვს დამოუკიდებლად გადასწყვიტოს ყოველი საკითხი ადგილობრივი მნიშვნელობისა. პრინციპიალური და საერთო ხასიათის საკითხები გადასწყდება თანახმად ცენტრიდან მიღებულის წინადადებისა. საზღვაო ტრანსპორტის უფროსის თანაშემწეს ამტკიცებს აფხაზეთის რევოლუციონური კომიტეტი — საქართველოს და აფხაზეთის საზღვაო ტრანსპორტის უფროსის წარდგენით.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რეს. რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მღვივანი.

რევკომის მდივანი აღ. სალარიძე.

1921 წ. ნოემბრის 18.
თბილისი — სასახლე.

დადგენილება № 95

საქ. სოც. ხაბჭ. რესპ. რევოლ. კომიტეტისა

დაწესებულებათა და წარმოებათა შტატის შემამოქირებელი კომისიის თაობაზე საქართველოს სოც. ხაბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის მიერ ამა 1921 წ. ოქტომბრის 12 თარიღითა და 83 №-ით გამოცემული დადგენილების შეცვლისა და შევსების შესახებ.

ზემოაღნიშნულ დადგენილებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. შტატის შემამოქირებელი სამაზრო კომისია შესდგება ხუთი წევრისაგან: ორი წარმომადგენელი — სამაზრო პროფესიონალური ბიუროსი, ერთი — შრომის განყოფილებისა, ერთი — მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და ერთი — სამაზრო რევოლიუციონური კომიტეტისა. ეს უკანასკნელი არის კომისიის თავმჯდომარე.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. ხაბ. რესპ. რევ. კომ.
თავმჯდომარე ბ. შლივანი

შრომის სახალხო კომისარი ლ. დუმბაძე.

რევ. კომიტეტის მდივანი პლ. ხალარაძე.

1921 წ., ნოემბრის 15.

ქ. ტფილისი. — სასახლე.

დადგენილება № 96

საქართველო, სოც. ხაბჭ. რესპ. კომიტეტისა

ფოსტის ამანათების გადასახაზენი ნიხრის გადიდების შესახებ.

1. გადიდებულ იქნეს ფოსტის ამანათების გადასახაზენი ნიხრი შემდეგნაირად:

- 2 გირვანქამდე 3000 მან.
- 2-დან 7 გირვანქამდე 6000 „
- 7-დან 12 გირვანქამდე 10000

12 გირვანქის ზევით თითო გირვანქაზე ან მის ნაწილზე — 1000 მან. დანარჩენი გადასახალი ამანათებისთვის რჩება ძველებურად.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. ს. ს. რ. რევოლიუციონური
კომიტეტის თავმჯდომარე ბ. შლივანი.
ფოსტა-ტელეგრ. სახ. კომისარი

ბ. კვიციანი.

რევკომის მდივანი პლ. ხალარაძე.

1921 წ. ნოემბრის 15.

ტფილისი. — სასახლე.

დადგენილება № 97

საქ. სოც. ხაბ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა

დასამწყვდევ ადგილებში შესვლის წესის შესახებ

დასამწყვდევ ადგილებში შესვლის წესრიგის პოვნარებისათვის და იმ ურთიერთობის განსაზღვრისათვის, რომელიც უნდა არსებობდეს, ერთი მხრით, საბჭოთა დაწესებულებების და თანამდებობის პირთა და მეორეს მხრით, იუსტიციის სახალხო კომისარიატის დასჯა-გასწორების განყოფილების ქვემდებარე დასამწყვდევ ადგილების ადმინისტრაციულ პირთა შორის, საქართველოს სოც. ხაბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. იმ პირთა გარდა, რომელთაც სამსახური იგი მდგომარეობის ძალით უფლება აქვთ ზედამხედველობა გაუწიონ იუსტიციის სახალხო კომისარიატის დასჯა-გასწორების განყოფილების ქვემდებარე დაწესებულებათ, — საქართველოს სოც. ხაბჭ. რესპუბლიკის დასამწყვდევ ადგილებში შესვლა შეუძლიანთ:

ა) სახალხო მოსამართლეებს, საგანგებო კომისიის კოლეგიის წევრებს და რევოლიუციონური ტრიბუნალის კოლეგიის წევრებს იმის შესაშროშებლად თუ რამდენად კანონიერია და სწორი საბაბი პატიმართა დამწყვდევისა სათანადო რაიონებში;

ბ) მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს — თავისუფლების აღკვეთის ადგილების ყოველმხრივი რევიზიისათვის; და

გ) ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ორგანოებს — დასამწყვდევი ადგილების დასათვლიერებლად სამკურნალო-სასანიტარო საქმის მხრით.

2. წინა მუხლის «ა», «ბ» და «გ» პუნქტებში აღნიშნულ პირებთა დასამწყვდევი ადგილებში შესვლა შეიძლება თვინიერ განსაკუთრებული ნიბართვისა. მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთ უნდა ჰქონდეთ სპეციალური მანდატები რევიზიის მოხდენისა ან სამკურნალო-სასანიტარო დათვლიერებისათვის.

3. სახალხო გამომძიებელი და სხვა ორგანოები, რომელთაც მინდობილი აქვთ წინასწარი გამოძიების ან გამოარკვევის მოხდენა, და აგრეთვე დამცველნი, უკეთუ უკანასკნელნი წარადგენენ დამწყვდეულთა სანახავ ნებართვას, თავიანთ მოვალეობას ასრულებენ დასამწყვდევი ადგილებში ამისათვის განსაკუთრებულად მიჩენილ ოთახებში.

4. ჩხრეკა, ამოარკვევა და დათვლიერება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში უნდა მოხდეს საზოგადო წესების მიხედვით, მაგრამ უსათუოდ თავისუფლების აღკვეთის ადგილის გამგისა ან მისი ადგილობრივ ქვე-განყოფილების მიერ დანიშნული განსაკუთრებული წარმომადგენლის თანადასწრებით.



5. თავისუფლების აღკვეთის ადგილში შესვლის დროს უნდა იხელმძღვანელონ ამ ადგილის შინაგანი გაწესრიგების ინსტრუქციით.

6. ზემო-ჩამოთვლილ პირთაგანს არავის უფლება არა აქვს გასცეს რაიმე განკარგულება, ხოლო შეჩინილ უწყისობათა შესახებ უნდა აღნიშნონ რასამწყვედვე ადგილებში ამისათვის არსებული რაფორებში ან აცნობონ ცენტრალურ დასჯა-გასწორების განყოფილებას.

7. ის, ვინც დაარღვევს ამა დადგენილებას, პასუხისმგებლობაში მიკეპოლ იქნება რევოლიუციონური დროის კანონების სრული სისასტიკით.

8. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

იუსტიციის სახ. კომისარი ს. ქავთარაძე.

რევ. კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ. ნოემბრის 15.

თფილისი, —სასახლე.

დადგენილება № 98

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტისა

რესპუბლიკის ქალაქებში მდებარე ყოფილი სახაზინო საიჯარო ადგილების ქალაქთა რევოლიუციონური კომიტეტებისათვის გადაცემის შესახებ.

1. რესპუბლიკის ქალაქებში მდებარე ყოფილი სახაზინო საიჯარო ადგილები, სახელდობრ: სახლისა და დუქნის ადგილი, ბაღი და საბაღე ადგილი, რაც იჯარით გაიცემა ხოლმე, გადაეცეს სათანადო ქალაქის რევოლიუციონური კომიტეტის გამგებლობას.

2. ოფილისში მდებარე სახლები: პეტრე დიდის ქუჩაზე—№ 22, დიდი მთავრის ქუჩაზე—№ 24, ოლოას ქუჩაზე—№ 66 და აგრეთვე რფილისის გუბერნიის ყოფილ თავად-აზნაურთა ქარვასლა გამოყოფილ იქნის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობიდან და გადაეცეს ტფილისის ქალაქის რევოლიუციონური კომიტეტს ყველა აბანო, თავისი კუთვნილი მიწა-ადგილით და შენობებით აგრეთვე გადაეცეს ტფილისის ქალაქის რევოლიუციონური კომიტეტის გამგებლობას.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომ. თავმჯდომარე ბ. მდივანი.

მიწადმოქ. სახ. კომისარი ფ. მახარაძე

რევ. კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ., ნოემბრის 15.

ქ. ტფილისი. —სასახლე.

დადგენილება № 99

საქ. ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

საზღვაო ტრანსპორტისა და ნავთსადგურების მოქმედებით დაინტერესებულ უწყებათა შორის ურთი-ერთ დამოკიდებულების მოწესრიგების შესახებ.

საზღვაო ტრანსპორტსა და ნავთსადგურის მოქმედების დაინტერესებულ უწყებათა შორის ურთი-ერთი დამოკიდებულების მოსაწესრიგებლად საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. ნავთსადგურის ტერიტორია და ნავთსადგურის წყლები—ყოველი ანაგობით, რაც მათ ფარგლებშია, არის საზღვაო ტრანსპორტის მმართველობის სამეურნეო და ადმინისტრაციულ გამგებლობაში, ხოლო ადგილობრივად—საფაქრო ნავთსადგურის უფროსის გაგებლობაში.

2. აკრძალულია ყოველგვარი ჩარევა რომელი უწყებისაც უნდა იყოს, საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრაციულ და ტექნიკურ სამეურნეო მოქმედებაში.

3. მიცემა საწყობისა, სადგომისა, ნაპირზე მიკუროვის სარგებლობის უფლებისა და სხვა სწარმოებს საზღვაო ტრანსპორტის უფროსის განკარგულებით უწყებათა განცხადებისამებრ, რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს საზღვაო ტრანსპორტის საქმეთა სათათბიროში.

4. საზღვაო ტრანსპორტის მმართველობასთან, საზღვაო ტრანსპორტის უფროსის თავმჯდომარეობით, არსებმა საზღვაო ტრანსპორტის საქმეთა სათათბირო შემეგ დაწესებოლიათა წარმომადგენლებისაგან: საზღვაო ტრანსპორტისა, საგარეო ვაჭრობის, სახალხო კომისარიატისა, იუსტიციის სახალხო კომისარიატისა, უმაღლეს სახალხო სამეურნეო საბჭოსი, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატისა, სასურსათო სახალხო კომისარიატისა, საგზაო სახალხო კომისარიატისა და წყალთა ტრანსპორტის მუშათა კავშირისა.

5. საფაქრო ნავთსადგურთა უფროსებთან, მათი თავმჯდომარეობით, მოეწყობა ნავთსადგურის საქმეთა სათათბირო იმავე უწყებათა წარმომადგენელთაგან და ამის გარდა ადგილობრივი რევოლიუციონური კომიტეტის წარმომადგენლისაგან.

6. უფლება და კომპეტენცია საზღვაო ტრანსპორტის საქმეთა და ნავთსადგურის სადგურის სათათბიროებისა განისაზღვრება დებულებებით,

რომლის სათანადო ვადაზე შემუშავება დაევალება საზღვაო ტრანსპორტის მმართველობას.

7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბ. რესპ. რევ. კომ.
თავმჯდომარე ბ. მდივანი.

რევ. კომიტეტის მდივანი ალ. ხალარაძე.

1921 წ. ნოემბრის 18.
ქ. ტფილისი.—სასახლე.

დადგენილება № 109

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა.

კერძო მესაკუთრეების ნავ-ჭურჭელთა მუშაობის მოწყობის შესახებ.

კერძო მესაკუთრეთა საზღვაო სატრანსპორტო ფლოტის სათანადოდ დაცვისა და მოვლისათვის და რესპუბლიკის ინტერესების მიხედვით მისი მუშაობის რაციონალურად გამოყენების მიზნით, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტი ადგენს:

1. საზღვაო სატრანსპორტო ფლოტის ნავ-ჭურჭელი, რომელიც კერძო პირს ეკუთვნის, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ, რა სამუშაოსათვისაც უნდა იყოს,—უკეთეს საამისოდ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საზღვაო ტრანსპორტის მმართველობისაგან განსაკუთრებული დანიშნულება არ აქვს მიცემული.

2. ამა დანიშნულებისამებრ მუშაობის შესრულებისათვის ნავ-ჭურჭლის მესაკუთრენი სასყიდელს მიიღებენ იმ ტარიფის მიხედვით, რომელიც შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნება საზღვაო ტრანსპორტის საქრეთა სათათბიროს მიერ, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ნავ-ჭურჭელთა მესაკუთრენი (ან მათი წარმომადგენელი) და წყლის ტრანსპორტის მუშათა ცენტრალური კავშირის ორგანოები.

3. ის ნავ-ჭურჭელი, რომელიც ვაღიან-რეგულიარად მიმოსვლას აწარმოებს, აცილებულ არ უნდა იქნეს არც დროსა და არც თავისი რეისის მიმართულებას, უკეთეს განსაკუთრებულად უკიდურესი საჭიროება არ იქნება.

4. ნავ-ჭურჭელი, რომელიც დანიშნულებისაგან მოკლილია, შეიძლება დაუბრკოლებლივ გამოყენებულ იქნეს მესაკუთრის მიერ ყოველგვარი კერძო ხასიათის გადაზიდვისათვის.

5. ნავ-ჭურჭელის მესაკუთრე, რომელიც განზრახ განერიდება დანიშნულების აღსრულებას, მიცემულ იქნება პასუხისგებაში სასამართლოს წინაშე.

6. ნავ-ჭურჭლის ეკიპაჟის შედგენილების პირნი, რომელთა ტოლნი გაწვეულ არიან ნამ-

დვილ სამხედრო სამსახურში, თავისუფალი უნდა იქნენ ამა ვაწვევისაგან მთლად იმ ტარიფის განაწილებაში, რაც ნავ-ჭურჭლის სამსახურში იქნება; ხოლო იმ შემთხვევაში თუ დათხოვილი იქნებიან აქედან,—გადაიცემიან სამხედრო ხელისუფლების განკარგულებაში, უკეთეს ამ დროსათვის მათი ტოლნი სათანადოდაც არ არიან გაწვეულნი.

7. ამ დადგენილების განვითარებისა და დამატებისათვის საზღვაო ტრანსპორტის უფროსს უფლება ეძლევა გამოსცეს წესები და ინსტრუქციები.

8. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბ. რესპ. რევ. კომ.
თავმჯდ. ბ. მდივანი.

რევ. კომიტეტის მდივანი ალ. ხალარაძე.

1921 წ., ნოემბრის 18.
ქ. ტფილისი.—სასახლე.

დეკრეტი

საქ. სოც. საბ. რესპ. რევოლუციონური კომიტეტისა სასამართლო აღმასრულებელთა შესახებ.

1. სასამართლოს დადგენილების და გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად სახალხო სასამართლოებთან იმყოფებიან სასამართლო აღმასრულებელნი, იუსტიციის კომისარიატის მიერ განსაზღვრული შტატის მიხედვით.

2. სასამართლო აღმასრულებელს დანიშნავს და გაიწვევს იუსტიციის სათანადო განყოფილება.


3. სასამართლო აღმასრულებელს ჯამაგირი ეძლევა შტატის მიხედვით.

4. მე-3 მუხლში აღნიშნული ჯამაგირის გარდა სასამართლო აღმასრულებელს ეძლევა გასამრჯელო აღმასრულებლობითი მოქმედებისათვის იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული ნიბრის თანახმად.

შენიშვნა: ნიბრის თანახმად აღებული გასამრჯელო დაუყოვნებლივ შეტანილ უნდა იქნეს იუსტიციის განყოფილებაში, რომელსაც ნახევარი შეაქვს ხაზინის სასარგებლოდ, ხოლო მეორე ნახევარს დროგამოშვებით თანაწორად ანაწილებს სასამართლო აღმასრულებელთა შორის.

5. სამსახურის გამო მიმოსვლისათვის სასამართლო აღმასრულებელს ეძლევა მიმოსვლის საშუალება—ნატურად, ხოლო, თუ ეს შეუძლებელია, ფულად მიმოსვლისათვის ნამდვილად საქირო ხარჯის ვარაუდით.

6. სასამართლო აღმასრულებელთათვის ზედამხედველობა ეკუთვნის იუსტიციის სათანადო გან-



ყოფილებას, რომელსაც ამასთანავე აქვს უფლება მათთვის ჯარიმის დადებისა.

7. საჩივარი სასამართლო აღმასრულებლის მოქმედების შესახებ, სასამართლოს დადგენილებისა და გადაწყვეტილების უწყსოდ აღსრულების გამო, შეტანილ უნდა იქნეს სათანადო ვადაზე იმ სახალხო სასამართლოში, რომლის რაიონშიაც ეს მოქმედება სწარმოებს (სახალხო სასამართლოს დებულების 109 მუხ.).

8. სასამართლო აღმასრულებელი გამოიყენებს იმ სახალხო სასამართლოს კანცელარიას, რომელთანაც იგი იმყოფება.

9. ქალაქ ტფილისში იუსტიციის განყოფილების მოვალეობას ასრულებს სახალხო კომისარიატის სასამართლოს მოამბეობი განყოფილება.

10. დებულება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

იუსტიციის სახ. კომისარი ს. ქავთარაძე.

რევ. კომ. მდივანი ელ. ხალარაძე.

1921 წ., ნოემბრის 15.

ტფილისი. —სასახლე.

შინაგან საქმ. სახალხო კომისარიატი.

დამტკიცებულია შინ. საქ. სახ. კომ. ბ. კვიციანი 9 ნოემბერი.

დებულება.

რესპუბლიკის მილიციის ადმინისტრაციულ პოლიტიკურ შემადგენლობის პირთა აღრიცხვის წესის შესახებ.

I.

§ 1. რესპუბლიკის მილიციის ადმინისტრაციულ პოლიტიკური შემადგენლობის პირთა აღრიცხვა თავს იყრის რესპუბლიკის მილიციის უფროსის პოლიტსეკრეტარიატში.

§ 2. რკინის გზის და წყლის მილიციის რაიონებისა და უბნების პოლიტიკურ ადმინისტრაციული შემადგენლობის პირნი, აღრიცხებიან რკინის გზისა და წყლის პოლიტსეკრეტარიატების მიერ.

§ 3. სამაზრო საქალაქო პოლიტიკურ ადმინისტრაციული შემადგენლობის პირნი აღრიცხე-

ბიან სამაზრო-საქალაქო პოლიტსეკრეტარიატების მიერ.

II.

§ 4. აღრიცხვას ექვემდებარებიან პოლიტიკურ ადმინისტრაციული შემადგენლობის პირნი რესპუბლიკის მილიციის ყველა უბნისა, სამმართველოსი და მილიციის დაწესებულებათა: როგორც მაგალითად კომისრები, თანაშემწენი პოლიტიკურ ნაწილში, პოლიტიკური ხელმძღვანელები რაიონებისა და უბნების, რკინის გზისა, წყლისა და სამაზრო-საქალაქო მილიციისა.

III.

§ 5. პოლიტიკურ ადმინისტრაციული პირთა შემადგენლობის აღრიცხვა სწარმოებს § 5—1, 2, 3, 4. და 5 თანახმად და შემდეგში მდგომარეობს:

ა) ანკეტების შეგროვება და შენახვა (თვითეულ აღრიცხული კომისრის, ან და პოლიტიკური ნაწილის თანაშემწის შესახებ).

(№ 1 ფორმა).

ბ) ცნობების მოგროვება მილიციაში დაკავებული თანამდებობათა და თავისუფალ ადგილებს შესახებ.

(№ 2 ფორმა).

გ) საკანდიდატო სიების წარმოება ყველა აღსარიცხავი და ადმინისტრაციულ-პოლიტიკური თანამდებობაზე წარსადგენთა შესახებ.

(№ 3 ფორმა).

დ) ცნობების შეგროვება ადმინისტრაციულ-პოლიტიკური შემადგენლობის პირთა შეუვსებელ ადგილების შესახებ.

(№ 4 ფორმა).

ე) სიების წარმოება ადმინისტრაციულ-პოლიტიკური შემადგენლობის პირთა დანიშვნა-გადაყვანის შესახებ.

(№ 5 ფორმა).

IV.

§ 6. ანკეტების შევსება და შეგროვება თვითეულ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ შემადგენლობის პირების სამსახურის შესახებ უნდა შესრულდეს 1921 წლ. 1 დეკემბრამდე და უნდა იქმნეს გადაგზავნილი მთავარი მილიციის სამმართველოს პოლიტ-სეკრეტარიატში არა უგვიანეს 10 დეკემბრისა.

§ 7. ცნობები დაკავებულ თანამდებობათა, თავისუფალ ადგილებისა და სამსახურში ყოფნის შესახებ, უნდა იქნეს შედგენილი წელიწადში სამჯერ: 1 იანვარს, 1 მაისს და 1 სექტემბერს და უნდა გაიგზავნოს რკინის გზის, წყლის, სამაზრო-საქალაქო პოლიტსეკრეტარიატების მიერ, რესპუბლიკის მილიციის უფროსის პოლიტსეკრეტარიატში, არა უგვიანეს 10 იანვრისა, 10 მაისისა და 10 სექტემბრისა.

§ 8. საკანცელარიო სიების შევსება სწარმოებს წელიწადში 3-ჯერ: 1 იანვარს, 1 მაისს და 1 სექტემბერს მე-7 §-ში ნაჩვენები წესის მიხედვით და რკინის გზის, წყლის და სამაზრო-საქალაქო პოლიტ-

სეკრეტარიატების მიერ იგზავნება რესპუბლიკის მილიციის უფროსის პოლიტსეკრეტარიატში.

§ 9. ცნობები ადმინისტრაციულ-პოლიტიკური შემადგენლობის შეუცვებელ ადგილების შესახებ, რაც აკლია იმ პირთა საერთო რიცხვის ჩვენებით (№ 4 ფორ.), ხდება წელიწადში 4-ჯერ: 1 იანვარს, 1 აპრილს, 1 ივლისს, და 1 ოქტომბერს და არა უგვიანეს ნაჩვენები თვეების 10 რიცხვისა და რკინის გზის, წყლის და სამაზრო-საქალაქო მილიციის პოლიტსეკრეტარიატების მიერ იგზავნებიან რესპუბლიკის მილიციის პოლიტსეკრეტარიატში.

§ 10. თუ პირველად ხდება აღრიცხვა მილიციის, ან დაწესებულების დამოუკიდებელი ნაწილის მაშინ ადმინისტრაციულ-პოლიტიკური შემადგენლობის პირთა აღრიცხვაზე მიღების შემდეგ, დაუყოვნებლივ თანახმად § 1. 2. 3 და 4, სათანადო პოლიტსეკრეტარიატების მიერ, სდგება ცნობები ადმინისტრაციულ პოლიტიკური თანამდებობათა შესახებ № 2 ფორმის მიხედვით, რომელსაც თან უნდა დაერთოს შევსებული ანკეტები № 1 ფორ., იმ პირებზე რომლებიც დაიკავებენ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ თანამდებობათ.

§ 11. ადმინისტრაციულ-პოლიტიკური შემადგენლობის პირთა, რომლებიც უკვე აღრიცხვაზე ითვლებიან, ყოველი დანიშვნის და გადაყვანის დროს, უნდა იქნეს წარდგენილი: სია დანიშვნა-გადაყვანების შესახებ (ფორ. № 5) და საანკეტო ფურცელი (ფორ. № 1), თუ კი იგი დასანიშნავი და გადასაყვანი პირის შესახებ უწინ არ ყოფილა წარდგენილი.

§ 12. საკანდიდატო სიები (ფორ. № 3) უნდა შესდგეს ყველა, § 1. 2. 3 და 4 ნაჩვენებ, პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ორგანოებში: მილიციის შტაბისა, სამმართველოსა და მილიციის დაწესებულებათა ყველა ნაწილების პოლიტიკურ ნაწილში თანაშემწეებზე.

შენიშვნა 1. საკანდიდატო სიებში უნდა იქნენ მოთავსებულნი უკლებლივ ყველა ის პირნი, რომელთაც უკავიათ პოლიტიკური თანამდებობანი, იმ შემთხვევაშიც კი როცა იმათ არ მიუღწევიათ უმაღლესი ადმინისტრაციული-პოლიტიკურ თანამდებობამდე.

შენიშვნა: 2. საკანდიდატო სიებში უნდა იქნენ შეტანილნი აგრეთვე ადმინისტრაციულ-პოლიტიკური თანამდებობაზე წამოყენებული კანდიდატებიც, პოლიტიკურ მუშაკთა და რეზერვის შემადგენლობიდან.

§ 13. ადმინისტრაციულ-პოლიტიკური შემადგენლობის, აღრიცხვაზე აყვანილ პირთა ყოველგვარი მოვლენების, ავადმყოფობის გამო შევსებულების და სხვა სამსახურის დროებით დატოვების შესახებ, საჭიროა ეცნობოს პოლიტიკური ნაწილის მხოლოდ უახლოეს თანაშემწეს ბრძანებაში გასატარებლად.

§ 14. აკრძალულია ადმინისტრაციულ-პოლიტიკური შემადგენლობის პირთა, მილიციის ერთი

დაწესებულებიდან მეორეში გადაყვანა, რესპუბლიკის მილიციის უფროსის პოლიტსეკრეტარიატის ხელდაუშრთველად.

§ 15. მილიციის ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ შემადგენლობის აღრიცხვის სისტემა არის მთლიანი წითელ ლაშქარსა და ფლოტის სისტემასთან ერთად. ეს ხდება ძუშაკთა კვალიფიკაციის გასაადვილებლად და ცხადდება, წითელი ლაშქრის ცენტრალური ნაწილთა სახელების ხაცვლად, რესპუბლიკის მილიციაში არსებული ნაწილთა კავშირის სახელები.

§ 16. ეს მთლიანი სისტემა ადმინისტრაციულ-პოლიტიკური პირთა შემადგენლობის აღრიცხვისა, გარდა იმისა, რომ დიადი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა, ადგილობრივ, პრაქტიკულადაც, უნდა იქნას გამოყენებული; ანგარიშის ფორმების ცენტრში სწოფად დაბეჭდვის შეუძლებლობა და ადგილობრივ ორგანოების მათი აუცილებელი რიცხვით უზრუნველყოფა, თან სუსტი კავშირი ადგილებთან; შესაძლებლობა სწრაფად გადაგზავინა და სხვა და სხვა, ხაზლურდება იმ შესაძლებლობით, რომ ყოველგვარი ფორმის მიღება შეიძლება წითელ ამიის ხაწილებიდან. (ამიტომ აღრიცხვის გატარება ცხოვრებაში შესაძლებელია მოკლე ცირკულირებით, რომელშიაც აუცილებლად უნდა იქნეს აღნიშნული ვადა და შესაძლებლობა სამაგალითო ფორმების წითელ ლაშქრის ხაწილებში მიღებისა).

§ 17. პასუხის ძგებლობა დებულების სისწორით სისრულეში მოყვანისა, ევალემა მილიციის პოლიტიკური ნაწილის უფროსებს და თანაშემწეებს (პოლიტსეკრეტარიატების უფროსებს).

პოლიტსეკრეტარიატის უფროსი ისმაილ იოვიძე.


სირკულიარულად

ყველა მაზრის რეკომებს.

როგორც ზოგიერთ მაზრებიდან მომდის ცნობები, ადგილობრივ ხელისუფლებათა ორგანოების დასტურით ხდება კომუნალურ განყოფილებების შეერთება ეკონომიურ განყოფილებებთან — უკანასკნელის სახელწოდებით.

გაცნობებთ სახელმძღვანელოთ, რომ არავითარ შემთხვევაში არ იქნეს გაერთიანებული კომუნალური და ეკონომიური განყოფილებები, ვინაიდან აღნიშნულ განყოფილებებს თავ-თავისი სპეციალი დანიშნულება აქვთ: თუ ცხოვრება მოითხოვს მათ გაერთიანებას, ეს უნდა მოხდეს სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოს, ე. ი. საქართველოს რეკომის დასტურით.

თუ აღნიშნულ განყოფილებათა გაერთიანებას ჰქონდა ადგილი, რომელიმე მაზრაში, ეკონომიურ



განყოფილების სახელწოდებით, იმ შემთხვევაში წინადადებას გაძლევათ აღადგინოთ კომუნალური განყოფილებები თანახმად № 16 დეკრეტისა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი
ბ. კვიციანი.

კომუნალურ მეურნეობის სამმართველოს
მთავარი გამ. მაგ. ნანეიშვილი.

1921 წ., ოქტომბრის 6.
ქ. ტფილისი.

ნორმალური წესები.

ცეცხლის მქრობელ პროფესიონალურ რაზმის
მოწყობისა.

1. ცეცხლის ჩასაქრობლად და ცეცხლმქრობლობის სამსახურის სხვა და სხვა მოვალეობათა შესასრულებლად ეწყობა ცეცხლის მქრობელი რაზმი შემდეგი შემადგენლობით: ბრანდმეისტერი (რაზმის უფროსი) მისი თანაშემწე და მსახურნი. სამაზრო ცეცხლის მქრობელი ქვე-განყოფილება ანაწილებს რაზმის პირად შემადგენლობას და „ქარაფანს“ ცეცხლის მქრობელ ცალკე ნაწილების მიხედვით. ნიშნავს ამ ნაწილებს საყოფ აღვილს და ჰქმნის განსაკუთრებულ დროებითი განყოფილებებს.

2. ცეცხლის მქრობელ რაზმის შემადგენლობა იყვება თანაბრად საშტატო ნუსხისა, რომელსაც ამტკიცებს რესპუბლიკის ცეცხლისაგან დამცველი განყოფილება.

3. რაზმის მოსამსახურეთა ჯამაგირებს საზღვრავს (აწესებს) შრომის სახალხო კომისარიატის შრომის სანორმო განყოფილება.

4. ბრანდმეისტერს (რაზმის უფროსს) და მის თანაშემწეს სამსახურში იწვევს ცეცხლისაგან დამცველი სამაზრო ქვე-განყოფილება და თანამდებობაზე ამტკიცებს რესპუბლიკის ცეცხლისაგან დამცველი განყოფილება. (იხ. დებულება ცეცხლისაგან დამცველ განყოფილებისა მე-1 მუხლი).

5. ცეცხლის მქრობელი რაზმი, ცხენები და ქარაფანის ნივთები არ შეიძლება გაწვეულ იქნეს ისეთ საშუაოზე, რომელიც ცეცხლის სამსახურს არ ეხება.

6. ცხენები და ყოველნაირი ეტლები ცეცხლის მქრობელ რაზმისა, არ შეიძლება ჩამორთმეულ იქნეს რეკვიზიციის ძალით.

7. ცეცხლის მქრობელ რაზმს განაგებს ცეცხლისაგან დამცველი სამაზრო ქვე-განყოფილება. მუდმივი თვალ ყურის გდება შინა წესრიგის დასამყარებლად მსახურთა შორის, მათ შორის მოვალეობათა განაწილება და „ქარაფანის“ ნივთთა უკლებლათ შენახვა ევალება ბრანდმეისტერს.

8. ცეცხლის ჩაქრობის დროს რაზმი ასრულებს ბრანდმეისტერის ან მის მოადგილის განკარგულებებს.

9. ადგილობრივი მილიცია მოვალეა ცეცხლის

ჩაქრობის საქმეში ჩაურევლად ხელი შეუწყოს ცეცხლის მქრობელ რაზმს მუშაობის ხელის შეწყვეტის ბრბოს მოშორებით, გამოტანილ ქონების დაცვას და სხვა.

შინაგან საქმეთა სახალხო
კომისარი კვიციანი.

კომუნალურ მეურნეობის სამმართველოს
მთავარი გამგე სიდომონიშვილი.

ცეცხლის დამცველი ინსპექტორი ბერიძე.
9 ნოემბერი, 1921 წელი.

ნორმალური წესები.

მახალისეთა ცეცხლ-მქრობელ რაზმების და
გუნდების მოწყობისა.

1) გაჩენილ ცეცხლის ჩასაქრობად და აგრეთვე ცეცხლისაგან დაცვის საქმეში მოვალეობის ასასრულებლად ქალაქებში კომუნალური განყოფილება აწყობს თავისუფალ ცეცხლ-მქრობელ რაზმს (გუნდს), რომელიც შესდგება რაზმის უფროსის, მის თანაშემწის, ქონების გამგის, საქმის მწარმოებლის და რაზმის წევრებისაგან. (თანამშრომელი, მოხალისენი). ყველა შემოხსენებული პირნი, გარდა რაზმის უფროსისა შედიან რაზმში, როგორც მოხალისენი და მუშაობენ უსასყიდლოდ, რაზმის უფროსი (გუნდის) დებულებს შრომის საფასურს. გარდა შემოხსენებულ პირებისა, ცხენების და ეტლების მუდმივ მოსაუღელად შეიძლება მოწვეულ იქმნენ დაქირავებული მოსამსახურენი.

2) მაზრის ცეცხლისაგან დამცველ ქვე-განყოფილებას უფლება ეძლევა განარიგოს პირადი შემადგენლობა და ეტლები ცალკე ცეცხლისაგან დაცვის განყოფილებათა შორის და აგრეთვე მიუჩნიოს მათ მუდმივი სადგომი ადგილი.

3) ცეცხლ-მქრობელი რაზმის პირადი შემადგენლობა განისაზღვრება ამასთანავე ერთად დართულ შტატის ვარიგებით რომელიც დამტკიცებული უნდა იქნეს რესპუბლიკის ცეცხლისაგან დამცველ განყოფილების მიერ.

4) რაზმში (გუნდში) დაქირავებულ მოსამსახურეებს ჯამაგირი ენიშნებათ შრომის კომისარიატის განყოფილების მიერ დამტკიცებულ ტარიფის მიხედვით.

5) რაზმის უფროსად მაზრის ცეცხლისაგან დამცველი ქვე-განყოფილება ნიშნავს უმთავრესად იმ პირთ, რომელთაც მოსმენილი აქვთ ქ. თბილისში ცეცხლ მქრობელ რაზმთან არსებული, ცეცხლ-მქრობლობის საინსტრუქტორო კურსები და აღნიშნულ თანამდებობაზე ამტკიცებს რესპუბლიკის ცეცხლისაგან დამცველი განყოფილება.

6) რაზმის უფროსის თანაშემწეს, ქონების გამგეს და საქმის მწარმოებელს ირჩევენ ამავე რაზმის წევრები (მოხალისენი) რომელთა შორის უპირატესობა ეძლევათ იმ პირთ, რომელნიც გაცნობ

ბილნი არიან ცეცხლის მქრობელობის საქმესთან და მოსმენილი აქვთ ქ. თბილისში ცეცხლ-მქრობელ რაზმთან არსებული საინსტრუქტორო კურსები.

7) ცეცხლ-მქრობელი რაზმის ცხენებისა და ეტლების გაწვევა ისეთ საქმეზე, რომელიც პირდაპირ არ ეხება ცეცხლის მქრობელობას, არ შეიძლება.

8. თავისუფალ ცეცხლ-მქრობელ რაზმის ცხენები და ეტლები ყოველგვარ რეკვიზიციისაგან განთავისუფლებულნი არიან.

9) გამგეობა თავისუფალ ცეცხლისაგან დამცველ რაზმისა მინდობილი აქვს მაზრის ქალაქებში, მაზრის ცეცხლისაგან დამცველ ქვე-განყოფილებებს ხოლო დანარჩენ ქალაქებში და სოფლებში კი კომუნალურ განყოფილებებს. მათი შინაგანი წესრიგის, სამსახურისა, დაქირავებული მოსამსახურეებისა და აგრეთვე რაზმის წევრებისა (მოხალისეთა გუნდისა), მათ შორის მოვალეობების განაწილება და მუდმივი თვალყურის დევნება ევალება რაზმის უფროსს.

10) ცეცხლის გაჩენის ადგილას და რაზმის მოქმედების დროს, რაზმი (გუნდი) ემორჩილება რაზმის უფროსის ანუ მის თანაშემწეების განკარგულებებს.

11) ადგილობრივი მილიცია თავისთავად არ უნდა ჩაერიოს ცეცხლის ქრობის საქმეში, იმავე დროს, იგი მოვალეა მოაშოროს ცეცხლ-გაჩენილ ადგილიდან ცნობის მოყვარე ხალხი, დაიცვას გამოტანილი ქონება და თუ საჭიროება მოითხოვს, პირდაპირი დახმარებაც აღმოუჩინოს ე. ი. მოაზიდვინოს ხალხს წყალი და მოაყვანინოს მოქმედებაში წლის საქაჩავები.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი კვირკელია.

კომუნალურ მეურნეობის სამმართველოს მთავარი გამგე სიდომონი შვილი.

ს. ს. ს. რ. ცეცხლ-მქრობელი ინსპექტორი ბერიძე.

მიწადმოქმ. სახ. კომისარიატი

დამტკიცდეს. ა. წ. 31
ოქტომბრს, ინსტრუქცია
გაუქმებულ იქნას. მიწ. მოქ.
სახ. კომისარიატის მხარაძე

ინსტრუქცია

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიის მოქმედების შესახებ.

1 ხაერით დადგენილება.

1. მიწის მფლობელობით და მისი ურთიერთობით გამოწვეულ დავის გარჩევა და გადაწყვეტა

ევალება მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ საადგილ-მამულო კომისიას და მის განყოფილებებს ქუზრებში (სამაზრო კომისიები).

შენიშვნა: როცა დავის საგანს შეადგენს ღალის ანუ იჯარის საკითხი, იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი იქნება მტკიცე და უტყუარი საბუთი ისეთი მდგომარეობის დამამტკიცებელი, რომელიც იგულისხმება ცირკულიარის № 3 პირველ მუხლში, საქმეს სწუვეტს განსაკუთრებული სამაზრო კომისიის თავმჯდომარე თითონ, უკომისიოთ. მისი გადაწყვეტილებით უკმაყოფილონი საჩივარს შეიტანენ მიწად-მოქმედების კომისარიატის კოლლეგიაში, რომლის განაჩენიც საბოლოოა.

2. საქმე სწყდება თანახმათ საქართველოს რევოლ. კომ-ის დეკრეტებისა და სოციალისტურ სინდისის მიხედვით.

3. კომისიის სხდომა ჩაითვლება კანონიერათ, თუ მას დაესწრო თავმჯდომარე ანუ მისი მოადგილე და არა ნაკლებ ორი წევრისა.

2. ორგანიზაცია.

4. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ საადგილ-მამულო კომისიაში შედიან: თავმჯდომარე, მისი მოადგილე და ხუთი წევრი.

5. თავმჯდომარეს ნიშნავს მიწად-მოქმედების კომისარი, თავმჯდომარის მოადგილეთ ითვლება საადგილ-მამულო პოლიტიკის განყოფილების გამგე. ამ უკანასკნელის ორი თანაშემწე, რომლებიც განაგებენ მიწათ-მოქმედების და კოლექტიურ მეურნეობის საქმეებს ითვლებიან კომისიის წევრებათ. დანარჩენ სამ წევრს გზავნიან საქ. კომ. პარტ. ცენტ. კომიტეტი, მუშათა და გლეხთა ინსპექცია და პროფესიონალურ კავშირთა საბჭო.

6. კომისიასთან არსებობს კანცელარია, რომელიც შესდგება: მდივნისა, საქმის მწარმოებლისა, მანქანით გადამწერისა და რეგისტრატორისაგან.


3. სამაზრო კომისიები.

7. კომისიის სამაზრო განყოფილებაში შედიან თავმჯდომარე და ხუთი წევრი.

8. თავმჯდომარეს ნიშნავს სახალხო კომისარი, ხოლო წევრებათ ითვლებიან სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილების კოლლეგიის წევრები და თითო წარმომადგენელი სამაზრო მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, პარტკომისა და პროფკავშირის.

4. საქმის გარჩევა სამაზრო კომისიაში.

9. ყოველი საქმე, დავა თუ პრეტენზია იწყება სამაზრო კომისიაში. საქმე ირჩევა საჯაროთ. განსაკუთრებულ შემთხვევაში (ავათმყოფობაში და სხ.) მხარეებს შეუძლიან გამოგზავნონ რწმუნებულები. რწმუნებულებათ შეუძლიანთ იქნენ მხოლოდ



ახლოებელი წათესავები (დღეა, მამა, ცოლი, ქმარი, და, ძმა, შვილი და შვილიშვილი) მომჩივან მოპასუხისა.

10. საქმის გარჩევის დღისთვის კომისია იწვევს მხარეებს და მოწმეებს უწყებებით.

11. კომისია შეუდგება საქმის გარჩევას, თუ მხარეებს ჩახარებული აქვთ უწყებები.

12. თუ საქმე შორიგებით არ გათავდა, კომისია შეუდგება მხარეების და მოწმეების დაკითხვას და საბუთების შემოწმებას, როცა უკანასკნელი საჭირო აღმოჩნდება.

13. როდესაც კომისია დაინახავს, რომ საკითხი საქმად არის გამოარკვეული, ადგენს თავის განჩინებას, რომელსაც უცხადებს მხარეებს.

14. უკმაყოფილო მხარეს შეუძლიან განასახიეროს კომისიის დადგენილება სამი დღის განმავლობაში დღიდან დადგენილებისა კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიაში.

შენიშვნა: კომისია საჯაროთ აცხადებს განსაჩივრების ვადას.

15. საჩივარი კომისიის დადგენილებაზე უნდა შეტანილი იქნეს სამაზრო კომისიაში. თუ საჩივარი პირდაპირ ცენტრში იგზავნება, ამის შესახებ მომჩივანმა უნდა დაუყოვნებლივ აცნობოს სამაზრო კომისიას.

16. განსაჩივრებული საქმე საჩივრით და ყოველივე საბუთებით, რომლებიც მხარეებს შეუძლიანთ წარმოადგინონ დამატებით იგზავნება მიწად-მოქმედების კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიაში არა უგვიანეს სამი დღისა დღიდან საჩივრის ან ამის შესახებ ცნობის მიღებისა.

17. ძალაში შესული დადგენილება სისრულეში მოყვანილი უნდა იქნეს სამაზრო რეგულირების კომიტეტის საშუალებით.

შენიშვნა: განსაჩივრებული საქმე სისრულეში არ უნდა იქნეს მოყვანილი ცენტრში საბოლოო გადაწყვეტამდე.

5. საქმის გარჩევა კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიაში.

18. განსაკუთრებული კომისია, მიიღებს-რა განსაჩივრებულ საქმეს, ნიშნავს გარჩევის დღეს სამი დღის განმავლობაში დღიდან საქმის მიღებისა.

19. კომისიაში საქმე ირჩევა და სწყდება მხარეების დაუსწრებლად.

20. კომისიის მიერ გამოტანილი დადგენილება არა უგვიანეს სამი დღისა წარედგინება მიწად-მოქმედების სახალხო კომისარს დასამტკიცებლად.

სირკულიარი № 6.

მაღალ ღირსების კულტურის მიწის ნაკვეთების დანაწილებისაგან დაცვის შესახებ.

ამ ეპოქაში მიწის კომიტეტში უკვე იწყებენ მუშაობას მიწით სარგებლობის წინასწარი ნორმე-

ბის გამოსარკვევად და აგრედირე მიწების დროებით დანაწილებას უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე მცხოვრებთათვის. ამიტომ ზრუნავს რა უნდახეივნა, ხილის ბაღებისა, ჩაის პლანტაციებისა და სხვა მსგავსი მსგავსი კულტურის ხეხილით გაშენებულ ადგილების მთლიანობის დასაცავად, რომელთაც შესაძლოა შეეხოს დანაწილება-დიქუცმაცება, მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი წინადადებას აძლევს ადგილობრივ საადგილო-მამულო ორგანიზაციებს, რომ მათ ხსენებულ ნორმების დამტკიცებამდე ზემოთ ჩამოთვლილ მაღალ კულტურის მნიშვნელობის ნაკვეთების დასაცავად იხელმძღვანელონ შემდეგის წესებით: 1) მაღალ კულტურის ხეხილებით ნაშენი მიწის ნაკვეთები, არ შეიძლება დანაწილებულ იქმნეს უკეთუ ისინი ადგიმტებიან დროებით დაწესებულ ნორმასა.

2) ის ხეხილიანი ადგილები, რომლებიც ეკუთვნის ისეთ პირებს, რომელნიც მათ საკუთარის შრომით არ ამუშავებენ, გარდა ცირკულიარებში №№ 3 და 5-ში მოხსენებულ პირთა გარდა, ჩამორთმეულ იქმნას მთლიანად და გადაეცეს შრომის ამხანაგობებსა და არტელებს.

3) ის პირნი, რომელნიც ზემოთ ჩამოთვლილ ხასიათის მამულებს საკუთარის შრომით ამუშავებენ, მაგრამ მათი მამულების რაოდენობა ადგიმტება დაწესებულ ნორმას, მოვალენი არიან შეუთანხმდნენ სოფლის უმიწაწყლო და მცირე მიწის მფლობელებს მცხოვრებთ, და თავიანთი შეუტანება აწარმოონ საამხანაგო ან საარტელო საფუძველზე, მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემულ წესებთან შეფარდებით.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის განცხადებით, ტფილისი, 15 ნოემბერი, 1921 წ.

დადგენილება.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის ცირკულიარი № 2 გაექმებას თახზაზე.

მიწად-მოქმედების კომისარიატის კოლეჯიამ განიხილა 1921 წლის 19 აპრილს გამოცემული ცირკულიარი (№ 2) და მიიღო რა მხედველობაში, რომ:

4. ხსენებული ცირკულიარი გამოცემული იყო განსაკუთრებით იმ აზრით, რომ ხელი შეეშალა მიწების უწყსრიგო ჩამორთმევისა და კულტურულ მამულების განადგურებისათვის, რასაც პირველ ხანებში მიწის კომიტეტების დაარსებამდე ჰქონდა ადგილი.

2. მიწის კომიტეტები უკვე დიდი ხანია რაც დაარსებულია და მოქმედებენ ნაწილობრივით მიწების ჩამორთმევა დანაწილებაზე და

3. რადგან იყო შემთხვევები, როცა ამ ცირკულიარის უკანასკნელ სიტყვებს ბოროტად იყენებდნენ, როგორც მაგ. შემდეგს: „და ხაგროდ

ნუ ატლევდენ ფაქტიურ მფლობელობას, რომელსაც სრულებით არ უკავშირებენ ხსენებული ცირკულიარის საერთო შინაარსს,

დაადგინა:

ცირკულიარი № 2 (1921 წლ. 19 აპრილის თარიღით), რომელმაც უკვე დაკარგა თავისი წინანდელი აზრი, გაუქმებულ იქმნას.

მიწად-მოქმედების კომისარი ფ. მახარაძე.
კოლეგიის წევრები: გ. ქოქაშვილი,
ვაწაძე, ს. ტიშოფევი.

სასურსათო სახალხო კომისარიატი.

წესები № 15

მიმღებ პუნქტების წისკვილებზე გადასახადის (საქართველოს რევოლ. კომ. დეკრეტი № 53 აგვისტოს 1921 წ.)

1. წესები ესე ვრცელდება საბაზისო, სატრანზიტო და მათ განყოფილებებზე.

2. საფქვავეებზე გადასახადის მიღება სწარმოებს განსაკუთრებით ფქვილით, წონით „ნეტო“ (ფუთობით, გირვანქობით.)

3. საფქვავეებზე გადასახადის აღების დროს მიმღები პუნქტი გამოსწერს კვიტანციას სამ ეგზემპლარად (ფ. № 20) რომელშიაც ინიშნება კვიტანციის №, სახელწოდება დაწესებულებისა, მიღებულ გადასახადის დატა, ვისგან არის მიღებული გადასახადი (წისკვილის №, მისი პატრონის ან შოიჯარადარის გვარი), მისი ადგილ-მდებარეობა) სოფელი, თემი, მაზრა) გადამხდელთა სის №, გადამხდელის რიგით № ამ სიაში, მისი ხარისხი და წონა, „ნეტო“ წარწერით და ციფრებით, გადასახადის სახით მიღებულ ფქვილისა.

4. საფქვავეებზე გადასახადის მიღების კვიტანციები უნდა იყვეს ხელმოწერილი პუნქტის გამგის ან მისი მოადგილის მიერ, ჰქონდეს ბეჭედი; „საფქვავეებზე გადასახადი“.

5. კვიტანციის სამ ეგზემპლარიდან: ა) „კვიტანცია“ ეძლევა გადასახადის მიმცემს, ბ) „კვიტანციის დუბლიკატი“ გაეგზავნება რწმუნებულს, გ) კვიტანციის უდა რჩება საკვიტანციო წიგნში და ინახება პუნქტში.

6. გადასახადის მიღებისთანავე მიმცემისაგან, გადამხდელთა სიაში, რომელსაც გზავნის რწმუნებული, უნდა აღინიშნოს სათანადო „ხაზებში“ კვიტანციის № და წონა „ნეტო“.

7. პროდუქტები, რომელიც შემოდის პუნქტში გადასახადის სახით, ირიცხება სახალხო სასურ-

სათო კომისარიატის განკარგულებაში, რომელიც რწმუნებულის საშუალებით (ორდენტების გზავნებით) განაგებს პროდუქტებს. **უიხუიიიიიი**

8. თანახმად სახალხო სასურსათო კომისარიატის ჩვენებებისა, რწმუნებულის განკარგულებით, ფქვილი მიღებული გადასახადისაგან პერიოდულად იგზავნება ახლო მყოფ საბაზისო საწყობებში, თანახმად სავაჭრო ოპერაციების წესებისა № 4.

9. ამისთანა „ნაკლადნოი“ გამოიწერება, საბაზისო საწყობებთან მყოფ მისაღებ პუნქტებში. მათ განყოფილებებში და სატრანზიტო საწყობებში ერთი დღის განმავლობაში გადასახადის სახით მიღებულ ფქვილზე ამ „ნაკლადნოი“-ზე. უნდა იყოს ხელ-წერილი საბაზისო საწყობის გამგისა (განყოფილების) ფქვილის მიღების შესახებ.

10. სახალხო სასურსათო კომისარიატის სხვა განყოფილებებში (საბაზისო საწყობში, სამაზრო სასურსათო კომიტეტში, და სხვა) გადაცემულ ან გადაგზავნილ ფქვილის „ნაკლადნოი-ები“ უკანასკნელთა მიერ დამტკიცებული უნდა იქმნეს მისაღებ კვიტანციებით.

11. ჩვეულებრივ წიგნში, პროდუქტების აღრიცხვისთვის (ფ. № 24) შემოსულ და გაცემულ ფქვილის ანგარიშში. თვითყულად მისი ხირისხის მიხედვით.

12. ფქვილის შემოსავალი და გასავალი ყოველ კვირეულად შეტანილ უნდა იქმნეს პუნქტზე შედგენილ ჩვეულებრივ უწყებაში (ფ. № 25) „სათანადო ხაზებში“ შეტანილ უნდა იქმნეს მიღებული და გადაცემული ფქვილის წონა, და უნდა მიემატოს კვიტანციის და „ნაკლადნოე-ბის“ სათანადო დუბლიკატები.

13. იმ შემთხვევაში თუ ფქვილი უვარგისი გამოდგა და არ ამართლებს შემუშავებულ მოთხოვნილებებს, დამნაშავენი პასუხისმგებელნი არიან მთელი თავისი ქონებით.

14. ყოველთვის ათ რიცხვში შედგენილ უნდა იქნეს გადამხდელთა სია, რომელთაც არ შემოუტანიათ გასულ თვის გადასახადი. და ეს სია შემდეგ პუნქტის გამგის და მოანგარიშის ხელის მოწერის მერე ეგზავნება რწმუნებულს.

სახალხო სასურსათო კომისარიატი:
ერქომაიშვილი.

სასურსათო ორგანოს უფროსი: **მელჩარსკი.**
საერთო საორგანიზაციო განყოფილების მმართველი **როლკე.**

ინსტრუქცია № 14

სამაზრო, ქალაქის და სახალხო სასურსათო კომისარიატების რწმუნებულობათვის, წისკვილებზე გადასახადის მოსაკრებათ, რევოლიუც. კომიტეტის დეკრეტის № 53-ის თანახმად,

ადგილობრივ განხორციელება საქართვე. რევ. კომ. დეკრეტის № 53 წისკვილებზე გადასახადის მოსაკრებად. ევალებათ სამაზრო, ქალაქის და სახალხო სასურსათო კომისარიატების რწმუნებულებს.

1. სამაზრო და ქალაქის სასურსათო კომისარიატები

ამ მიზნით სამაზრო და ქალაქის სასურსათო კომისარიატები დაუყოვნებლივ ვალდებული არიან: 1) მიიღონ ენერგიული ზომები გასაგრძელებლად მცხოვრებთა შორის დეკრეტის № 53, და აგრეთვე ვაცნონ ეს დეკრეტი მათ რაიონში მყოფ ყველა წისკვილების პატრონებს, რომელთაც უნდა დაევალოთ მისი გამოკვრა თვალსაჩინო ადგილას; 2) აღრიცხვაზე უნდა იქნეს აღებული ყველა იმ რაიონში მყოფი ხორბლის დამფარული წარმოებანი; 3) გამოაკვეთონ იქნეს რაიონებში, რომელთაც ემსახურება ყოფილი წისკვილი, გამოირკვეს მისი დღიური ნამუშევარი, მთლიანი შემოსავალი, და გამოირკვეს რომელი წისკვილები არიან განთავისუფლებული 15% გადასახადისაგან, როგორც ამდები თვეში ხუთ ფუთზე ნაკლებ ფქვილისა, და რომლებს ეხებათ გადასახადი; 4) დადგინონ იქნეს რწმუნებულთან ერთად 15% გადასახადის ჩასაბარებელი ადგილი (საბაზისო საწყობები, მათი განყოფილებები, კოოპერატივები, დამამზადებელი კონტორები და სხვა) იმ ანგარიშით, რომ დანიშნული ადგილი იყოს 10 ვერსის მანძილზე წისკვილებიდან; 5) გამოაკვეთონ იქნეს ეხლანდელი საფასური საფქვავეებზე, და დაევალოს წისკვილების პატრონებს არ მოუმატონ იგი ყველა ხორბლიულობის პროდუქტებზე (სიმინდი, ქერი და სხვა), ხორბალზე დადგინონ იქნეს არა უმეტეს 5%; 6) დაევალოს წისკვილების პატრონებს (მოიჯარადრეებს) შემოიღონ საგანგებო რეგული (დავთარი) ფ. № 16, ჩასაწერად საფქვავისა, გამოსულ ფქვილსა და გამოართმეულ საფქვავეებზე გადასახადის; 7) წისკვილების რაოდენობის და მათი ადგილმდებარეობის გამოკვების შემდეგ (იხ. 3. № 2.) უნდა შესდგეს სია პატრონთა (მოიჯარადრეთა) ევარების აღნიშვნით, წისკვილის და მიმღებ პუნქტის ადგილმდებარეობა, რომელთაც იგი დაკავშირებულია, და გადაეზავნოს იგი სახალხო სასურსათო კომისარიატის რწმუნებულს; 8) მთლიან შემოსავლის რაოდენობის განცხადების თანავე, შედგენონ უნდა იქნეს 15% გადასახადის-

მიმცემთა სიები (ფ. № 17) და გადაეზავნოს საქმის სას. კომისარიატის რწმუნებულს; 9) მიღებულ იქნეს სასწრაფო ზომები ადმინისტრაციულ წესით, დარჩენილ გადასახადის მოსაკრებად. თანახმად რწმუნებულთა მიერ ყოველ თვიურად გადმოგზავნილ, სიისა; მხოლოდ დეკრეტი № 53 დამრღვევი რევოლიუციონურ სასამართლოს განკარგულებაში იქნეს მიცემული.

11. სახალხო სასურსათო კომისარიატის რწმუნებულები.

15% გადასახადის მიმცემის სიების მიცემის თანავე, სამაზრო სასურსათო კომისარიატისაგან, რწმუნებულები ვალდებული არიან: 1) დაუყოვნებლივ გასცენ განკარგულება საბაზისო საწყობების, მათი განყოფილებების დამამზადებელ კონტორების და კოოპერატივების გამგეთ რათა 15% გადასახადის ნაცვლად წისკვილების პატრონებისაგან მიღებულ იქნეს ფქვილი; 2) დაევალოს მიმღებ პუნქტების გამგეთ უპროდკომთან (სამაზრო სასურსათო კომისარიატი) ერთად შემუშავებულ ნორმის თანახმად, მისცენ გადამხდელთა მოსაპანი ღირებულება თუ მანძილი აღმატება 10 ვერსს; 3) იმ შემთხვევაში თუ მოტანილია უფარვის ფქვილი, რაც შემოწმებულ იქნება რევკომის წარმომადგენლის მიერ, ფქვილი შეძენილ უნდა იქნეს ბაზარზე, წისკვილის პატრონის ხარჯით; 4) უნდა წარმოებდეს შემოსულო გადასახადის აღრიცხვა, თანახმად განხილულ წესების, თავის დროზე უნდა ჩაბარდეს იგი სახ. სას. კომისარიატს, და გადაეზავნოს იქნეს იმ პირთა სია, რომელთაც არ შემოუტანიათ გადასახადი.

საქართვე. რევოლიუცი. კომიტეტის დეკრეტი № 53. ძალაში შედის გაზ. „კომუნისტი“ და „პრავდა გრუზია ში“ № 136, გამოქვეყნების დღიდან ე. ი. 1921 წ. 11 მარამომისთიდან.

წისკვილები, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფოს ექსპლოატაციის ქვეშ განთავისუფლებული არიან 15% გადასახადისაგან.

წისკვილები, რომლებიც იჯარით არის გაცემული კოოპერატივებში, სხვა ორგანიზაციებზე და კერძო პირებზე, უნდა აღირიცხოს თანახმად აღნიშნულ დეკრეტის № 53 წესით.

სახალხო სასურსათო კომისარი: **ერკომაიშვილი.**
სასურსათო ორგანოს უფროსი: **მედ ჩარხკი.**
საერთო საორგანიზაციო განყოფილების მმართველი: **ჩაოლკე.**



არა-ოფიციალური განყოფილება

საქმეთა

შინაგან საქმეთა კომისარიატის შოხსენაგოდან

გაგრძელება *)

ქვემოთ დეტალურად გადარჩევთ ადგილობრივი რევკომების ყველა მძლავრ და სუსტ მხარეს, მაგრამ აქ საინტერესოა იმ საერთო ფონის დახასიათება, რომელზედაც დამკვიდრდა საბჭოთა ძალაუფლება საქართველოში და რომელზედაც მოუხდა თვისი მოღვაწეობის დაწყება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს. როგორც აღვნიშნეთ, ეს ფონი იმგვარი შეიქმნა, რომ როგორც თბილისში, ისე ადგილობრივ საბჭოთა ორგანოები უმთავრესად ერთი-მეორის შეუთანხმებლად და დირექტივების მიუღებლად ჩნდებოდნენ და მასთანამე იმ ხანაში ყველანი ორგანიზაციულ სფეროში ექცეოდნენ. მოქმედ ძალებს ერთად ერთი სახელმძღვანელო დირექტივა ჰქონდათ, ეს იყო მათი კომუნისტური მსოფლმხედველობა და საბჭოთა აღმშენებლობის მთავალი თეზისი. მათ შორის ბევრი იყო კომუნისტურ რუსეთში ნამუშევარი ამხანაგი, რომლებსაც დიდი პრაქტიკა და გამოცდილება ჰქონდა მიღებული იქ და რომელნიც ერთგვარი ინტუიციით შეუდგნენ რუსეთის აღმშენებლობის პროვინციულ ამხანაგების დახმარებით გადმონერგვას სამშობლო ნიადაგზე. ამ, ასე ვსთქვათ, სეპარატიული მოქმედებამ, როდესაც ისინი მხოლოდ რუსეთის შაბლონით ხელმძღვანელობდნენ, თვისი დალი დასვა საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობას, რადგან დიდი რუსეთის პრაქტიკული მაგალითი უმეტეს შემთხვევაში პატარა საქართველოსთვის მიუღებელი აღმოჩნდა და რამდენაღ პროვინციაში მომუშავე ამხანაგები ადგილობრივ პრობლემებთან შეუფარდებლად მოქმედებდნენ, იმდენათ მათ ნამოქმედარს მეტად დროებითი ხასიათი მიეცა, ამისათვის კომისარიატი შეეცადა თავიდანვე შეეფარდებინა საბჭოთა ხელისუფლების პრინციპები საქართველოს პირობებთან.

ყოველივე ამაზე მისთვის კი არ შევაჩერებ ყურადღება, თითქოს რაც გაკეთდა პირველ დღეებში, დღეს უკვე აუცილებლად გამოუსადეგარი იყოს, არამედ იმ პირობების მთლიანად დასახასიათებლად, რომლებშიც მოუხდა მუშაობის დაწყება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს. ეს პირობები კი იმგვარი იყო, რომ როდესაც იგი შეუდგა თავისი დანიშნულების რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე განხორციელებას, იქ არ მოიძებნებოდა არც ერთი კუთხე, სადაც არ ყოფილიყო, ასე თუ ისე მოწყობილი, რევოლუციონური კომიტეტი, მაგრამ

*) იხ. „შინაგან“ № 20.

მათ მუშაობას აკლდა საერთო ხელმძღვანელობა, საერთო გეზი, პიროვნული შემადგენლობის ყველგან შესაფერი შერჩევა და მრავალი სხვა და მათ შორის, ადგილ-ადგილ, ბრმა მიზნად რუსეთის ან სხვა მაგალითებისა. თავის თავად ცხადი და ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საქართველოში საბჭოთა ძალაუფლების დამკვიდრების პირობებმა მოითხოვა პროვინციაში გაბნეულ ამხანაგების დაუყოვნებლივ ამოძრავება და სეპარატიული მოქმედება და იმათაც შეძლებისდაგვარად დიდი სამსახური გაუწიეს საბჭოთა ძალაუფლებას დამკვიდრების საქმეს. რაც შეეხება მათი მუშაობის ნაკლს, რომლის საერთო ხასიათი უკვე ნაჩვენებია და რომელიც დაწვრილებით ქვემოთ იქნება განხილული, მას შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა იმთავითვე აულო ალლო და დღემდე, შეძლებისდაგვარად, სცდილობს მათ გამოსწორებას. პროვინციაში მომუშავე ამხანაგების სასარგებლოდ და საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ უნაკლო მუშაობა არსად ყოფილა და მით უმეტეს შეუძლებელია იგი ისეთ მძიმე საქმეში, როგორცაა საბჭოთა აღმშენებლობის წარმოება და თუ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, მას შემდეგ, როდესაც გაიბა კომისარიატსა და მზრის რევკომებს შორის მჭიდრო კავშირი, ხანდახან მკაცრსა და გადამწყვეტ ზომებს მიმართავდა მათ წინააღმდეგ, ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს გამოწვეული იყო მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა აღმშენებლობის ინტერესით და მათი ნამოღვაწევის განმტკიცებისათვის საუკეთესო პირობების შესაქმნელად. ყოველივე ცენტრალური ორგანოს დანიშნულებაც ასეთია, მას გარდა ხელმძღვანელი როლისა კონტროლიც აქვს დაკისრებული საბჭოთა კონსტიტუციის ძირითადი დებულებით და თუ მზრის რევკომების მოქმედების მიმართ კომისარიატი ზედმეტ ლობიერებას და არა სიმკაცრეს გამოიჩინდა, ეს ყოველად მავნებელი იქნებოდა, უპირველესად ყოვლისათვის საბჭოთა რესპუბლიკის ინტერესებისათვის, რომლის განმტკიცებას და გაძლიერებას ერთნაირი ერთსულოვნობით უნდა ემსახუროს ცენტრიც და პროვინციაც, თუ გვინდა, რომ მტკიცე საძირკველი ჩაეყაროს საბჭოთა რესპუბლიკას საქართველოში.

ასეთი მოღვაწეობა დაიწყო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა, როგორც კი მოხდა საქართველოს გაერთიანება საბჭოთა დროშის ქვეშ და როდესაც თვით კომისარიატის ცენტრალური აპარატი ნაწილობრივ უკვე მოწყობილი აღმოჩნდა ნაწილობრივ იმისთვის, რომ ჯერ გამოსარკვევი იყო თუ რა და რა განყოფილებათ უნდა ჩამოყალიბებულიყო თვით კომისარიატის ცენტრალური აპარატი. ამ მხრივ შეუძლებელი იყო საქართვე-

ლოს ყოფილი მთავრობის მუშაობით სარგებლობა, რადგან საბჭოთა აღმშენებლობა სულ სხვა მიზნებს ისახავს და სულ სხვა საშუალებებით პტიკრობს იმის განხორციელებას, ვიდრე საქართველოს ყოფილი მთავრობა. საქართველოს საბჭოთა მთავრობისათვის შეუძლებელი აღმოჩნდა აგრეთვე, ბრმა მიბაძვა რუსეთის აღმშენებლობისადმი და მხოლოდ რუსული შაბლონით ხელმძღვანელობა თავის მოღვაწეობაში. მართალია, ერთადერთი სახელმძღვანელო და მისაბაძი მაგალითი შესაძლოა იყოს გვერდნა, მხოლოდ საბჭოთა რუსეთის აღმშენებლობით მუშაობაში, მაგრამ საქართველოს მთავრობის მიერ სხვა და სხვა მოსაზრებათა გამო იმ თავითვე უარყოფილი იყო სრული მიბაძვა ამ მუშაობისა. ამის გამო საქართველოს მთავრობამ სახელმძღვანელოდ მიიღო მხოლოდ საბჭოთა აღმშენებლობის პრინციპები, ხოლო საშუალებათ გაიხადა ადგილობრივი პირობების საუკეთესოდ შესწავლა და გამოკვლევა და ამ პირობებთან შეფარდებით უმტიკინელოდ ჩატარება საბჭოთა აღმშენებლობისა. მით უმეტეს შესაძლებელი გახდა ასეთი მოქმედება, რომ, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, მცხოვრებთა დიდი უმეტესობა თანაგრძნობით მოეკიდა პოლიტიკურ წესწყობილების ცვლილებას. ამისდა მიხედვით ფრიად მიზანშეწონილი გამოდგა უარყოფა რუსული შაბლონისა, რადგანაც ჯერ ერთი უზარმაზარი და სხვა და სხვა პირობების ქვეყნის მაგალითი არ გამოდგებოდა შედარებით ძლიერ პატარა და უმთავრესად ერთგვარი პირობებში მყოფ საქართველოსათვის და მეორეც, რუსეთში საბჭოთა აღმშენებლობა, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, ხდებოდა მწვავე სამოქალაქო ომის პირობებში.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი აღნიშნავს, რომ საქართველოში საბჭოთა მთავრობის ექვსი თვის მოღვაწეობა ამტკიცებს საქართველოს მთავრობის მიერ აღებულ სამოქმედო გეზის უთუო სიმართლეს. საქართველოს ტერიტორიაზე უკვე აღარ სჩანს, პირველ ხანებში, ჩვეულებრივად გამხდარი მხოლოდ ქალაქებზე არსებული საბჭოთა ორგანოები, სრულიად მოუწყობელი და ხშირად საექვო პიროვნებებით ავსებული (აქ მხედველობაში გვაქვს, რასაკვირველია მხოლოდ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ქვედებარე ადგილობრივი ორგანოები). ბოლო მოვლო პროვინციულ ორგანოების და ახანაგების სეპარატიულ გამოსვლებს და ნაბიჯებს, შესამჩნევად იკლო მათმა ურჩობამ და ცენტრის განკარგულებათა აუსრულებლობამ. ყოველ სერიოზულ და პრინციპიალურ საკითხზე პროვინცია უცდის და თვით იანაოვს ცენტრის განკარგულებას და მითითებას. ვარდა ამისა საქართველოში სრულიად არსად ჰქონია ამ ხნის განმავლობაში, ადგილი საბჭოთა საწინააღმდეგო მასიურ გამოსვლებს, ხოლო თითო-ოროლა უმნიშვნელო კერძო პროვინციული მოქმედება თავიდან ჩაკლულ იქნა. აქედან სჩანს, რომ სრულიად

სწორი გამოდგარა საბჭოთა საქართველოს მთავრობის მიერ აღებულ სამოქმედო გეზი, რომელიც უკვე მოგვეცა თავისი ნაყოფი მით, რომ შეეძლებოდა შეათვისა და შეადგინა საქართველოს მცხოვრებნი საბჭოთა სოციალურ პოლიტიკურ აღმშენებლობასთან. აქედანვე სჩანს, რომ აღებულ გეზის თანაბრად გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯებიც სწორი ყოფილა.

აქ დაწვრილებით ვერ განვიხილავთ კომისარიატის ყველა განყოფილების მოქმედებას; საერთოდ აღვნიშნავთ მხოლოდ, თუ რა შედეგები მივიღეთ ჩვენ საბჭოთა ხელისუფლების ექვსი თვის მოღვაწეობის შემდეგ საქართველოში.

1. კომისარიატის მიერ შექმნილი დაგვარად ყოველ მხრივი ზომები იყო მიღებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე რევოლუციონური წესრიგის დასაცავად და ამ მხრივ დავალება შესრულებულად უნდა ჩათვალოს, რადგან საბჭოთა ძალაუფლების დამყარებიდან რესპუბლიკაში არსად დარღვეულა წესრიგი.

2. ბოროტ-მოქმედებათა ასალაგმავად რიგინად მოეწყო გარეგანი და მძიმეგელი მილიცია და ბოროტ-მოქმედებათა რიცხვმაც საგრძნობლად იკლო.

3. საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის ყველა დეკრეტი, ბრძანება და განკარგულება დროზე ეგზანება ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებს და მათი განხორციელების და ცხოვრებაში გატარების საქმეც თანდათან მკვიდრნიდაგზე ღდება. ამ ყაზად უკვე შედარებაც აღარ შეიძლება მთავრობის დეკრეტებისა და ბრძანებების დარღვევით გამოწვეულ საჩივრების რიცხვისა იმ რიცხვთან, რომელიც კომისარიატის დაარსების პირველ ხანებში მოგვდიოდა.

4. ადგილობრივ სამაზრო, სარაიონო და სითემო რევკომების მოქმედება თანდათან უფრო ნორმალურ კალაპოტში ღდება და კომისარიატს უკვე აღარ უზღდება ისე ხშირად როგორც პირველ ხანებში მკაცრი ზომების მიღება ადგილობრივ ორგანოების ან მათ წვერთა საწინააღმდეგოდ უფლებების გადამეტებისა, უმოქმედობისა თუ ბოროტ-მოქმედებისათვის.

5. სერიოზულ ნიადაგზე დაყენებული რესპუბლიკის ტერიტორიის ადმინისტრაციული გადამიჯენა-გადაჯგუფება და ამ მხრივ, მიუხედავთ ძლიერ მკირე დროისა, უკვე იადენია გაკეთებული, რომ შესაძლებელია მისი ცალკე იღნიშვნა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს რომ აღმანისტრაციული გადაიჯენა რესპუბლიკის ტერიტორიისა კიდევ ბევრ ნაწილს ესაჭიროება, რაც ადგილობრივ მცხოვრებთა შეუწყვეტელ შუამდგომლობებით მტკიცდება.

6. შესაფერო ზომებია მიღებული რესპუბლიკის მეურნეობის დაცვის ხელშესაწყობად და საგრძნობი დახმარება გაეწია მცხოვრებთა იმ ნაწილს, რომელიც საქართველოში საბჭოთა ძალაუფლების

დამყარების პროცესში მატერიალურად დაზარალებულა.

7. უკვე მოეწყო ცენტრალური საეკონომიკური სამმართველო რესპუბლიკის ლტოლვილთა და საზოგადოებრივ შეტყობველემენტებისაგან გასაწმენდათ.

8. აგრეთვე გამართულია მთელი რიგი იძულებითი მუშაობის ბანაკებისა, რაათა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს პატიმართა ტყუილუბრალო ვაცდენას და ისინიც გამოყენებული იქნენ რესპუბლიკის სასარგებლოდ.

ამ მოკლე ჩამოთვლიდან უკვე სჩანს, რომ საბჭოთა რესპუბლიკის შინაგანი პოლიტიკა მთლიანად განხორციელების გზაზეა დამდგარი და შინაგანი მართველობისათვის საჭირო ხელმძღვანელი აპარატის მოწყობას კომისარიატი უკვე დამთავრებულადა სთვლის. მის უახლოეს მიზანს შეადგენს მომავალში გააგრძელოს ამ ნიადაგზე დაყენებული მუშაობა საბჭოთა სახელმწიფოს შინაგან პოლიტიკის იდეის ცხოვრებაში სისწორით გასატარებლად და მით, შეძლებისდაგვარად, ხელი შეუწყოს საქართველოს რესპუბლიკის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის გარდაქმნის საქმეს.

რატომ მაზრის მსხოვრებთა გადასახლებაში საკითხი

ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალი სავსეა ჯერ კიდევ ხელუხლებელ ბუნებრივ სიმდიდრით; მრავალ ადგილას, სადაც ჯერ ბარიც კი არ დაკრულა—ხავსი ჭყარავს ძვირფას მადნებს და ურიცხვი დოვლათი იკარგება უპატრონობით.

მათი გამოყენება მოითხოვს განვითარებულ ინდუსტრიასა და ქვეყნის მეურნეობის ჯეროვან სიმდიდრეზე აყვანას.

ქვეყნის მეურნეობის განვითარება—უქვეყნის პირობაა სახელმწიფოს ეკონომიური და პოლიტიკური სიმდიდრისა, ამ განვითარებისათვის კი საჭიროა შრომის რიგიანი ორგანიზაცია, მშრომელი მასების გადაჯგუფება და მათი მუშაობისათვის ხელის შეწყობა სახელმწიფოებრივის მაშტაბით.

ეს საკითხი უდიდესი საკითხია განსაკუთრებით საქართველოსთვის, სადაც მეურნეობა ჯერ რიგიანად არც კი გასცილებია თავის პატრიარქალურ ხანას, ამ საკითხის გადაჭრის აუცილებლობა გამოწვეულია. თვით ცხოვრების მიერ, რომელიც განსაკუთრებით მძიმე და აუტანელი შეიქმნა ქართველი გლეხისა და საერთოდ მშრომელი კლასისათვის ამ ამ უკანასკნელ განმანადგურებელ წლების განმავლობაში.

ბურჟუაზიულ ქვეყნების ბლოკადამ წელში მოლუნა ქართველი გლეხი და აგრძობინა მას შინაგანი ორგანიზაციის საჭიროება. ჩვენი ქვეყნის მცხოვრებთა დიდი პროცენტი, რომელიც წინადასხვა საშუალებით ეძებდა არსებობის წყაროს, კვ-

ლავ დაუბრუნდა მიწას და სასოფლო მეურნეობას მოჰკიდა ხელი. ქართული თოხი უფრო მეტს სიჩქარით ამოდრავდა სიმინდის მოსაყვანად, საოფლისაგან გაიწოდა ხელი.

ეს მოვლენა, რომელიც ჩვენი გარდამავალი ეპოქის გამოძახებელია ასე ვსთქვათ—ერთგვარი მუჯღუგუნი იყო ჩვენი მეურნეობის დადებით და უარყოფითი ხასიათის გამოსამხეურებლად და მათ შესასწავლად.

და საძუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში მეურნეობის საქმე ჩამოქვეითებულია.

საქართველოს ვერ მოჰყავს იმდენი სარჩო, რომ მოსავლის რაოდენობა ქვეყნის საჭიროების საშუალო მოთხოვნილებას მაინც აკმაყოფილებდეს. ყოველ წლიურად იზრდება სასურსათო კრიზისი, მთელი კუთხეები განიცდიან ქრონიკულ შიმშილობას, და ოფლის მღვრელი გლეხობა უცხოელთა სასწორზე ითვლის თავის საარსებო ლუკმას.

რითია ეს გამოწვეული?

ამისი ისტორია, რასაკვირველია ღრმა ეკონომიური ხასიათისაა და იგი დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის მეურნეობის კულტურის ისტორიასთან.

ქართველი გლეხი, ძიწის მუშათ არ არის ზარმაცი, იგი ოფლით ანოყიერებს ნიადაგს, საკუთარი მარჯვენი ებრძვის მიწას და მაინც თითქმის ცარიელი ოჩება.


ამავე დროს ჩვენი ქვეყნის ნიადაგი არათუ ნაყოფს იძლევა, არამედ ნამუშევარის პროპორციასთან შედარებით—ერთი ათად აკმაყოფილებს მოლოდინს. რა თქმა უნდა, მხედველობაში არ არის მისაღები ჩამოდენიმი უმოსავლო წელი.

ქვეყნის ასეთი პარადოქსალური მდგომარეობა გამოწვეულია უპირველეს ყოვლისა იმით, რომ საქართველო დღევანდლამდე, პრიმიტიულ მეურნეობას მისდევს და გლეხს არა აქვს საშუალება მაშაპურად დამუშავებულ ნიადაგს დღევანდელი მოთხოვნილებისათვის საჭირო ნაყოფი გამოაღებინოს.

მეორე, უფრო მთავარი მიზეზი ის არის, რომ ჩვენ აქამდე არ მოგვებოებოდა თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, შინაგანი, ორგანიზაცია, რომელიც მიწასა და მასზე მშრომელ კლასს კატეგორიებადა ჰყოფდეს და აწარმოებდეს მათს შეფარდებას, გადაჯგუფებას.

ეს ერთგვარი რაციონალიზაცია იქნება ჩვენი სასოფლო მეურნეობისა და მაშასადამე, უფრო მეტი მოსავლიანობის გარანტია.

შეფარდება გადაჯგუფებათ ჩვენ ვგულისხმობთ მცხოვრებთა გადასახლებას მწირი ადგილებიდან წისკეთ ადგილებზე, სადაც მათ შეუძლიანთ მიწას იმდენი ნაყოფი გამოაღებინონ, რომ შეეძლოთ თავისის საარსებო მოთხოვნილების მინიმუმის დაკმაყოფილება. მაინც ჩვენში ფესვ-გადგმულია ერთი ფატალური ტრადიცია, რომელიც გამოიხატება ფრაზაში: „სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ ჩემი სამშობლო ის არი“ ეს ტრადიცია არის უმთავრესი ხელის შემშლელი ამ გადასახლების იდეის განხორციელებისა.



ქართველ გლეხს, ეს ფრაზა ისე ესმის, რომ „მისი სამშობლო“ მხოლოდ მისი სოფელი და ქობია და არა საქართველოს „კაფორუზ-ხმელეთ ზურმუხტის“ სხვა რომელიმე კუთხე. ამის გამო ის მიკრულია თავისი სოფლის ხშირად ხრიკი და მჭირ ფერდობებს. სადაც უსარგებლოდა სცემს თონს და უნაყოფოდ იწურავს შრომის ოფლს და იგი სხვა საშუალებას არ მიმართავს, ვიდრე შიმშილის საშუალება კარს არ დაუკაკუნებს.

სწორედ ამ მიზეზებით გამოწვეული აუტანელი მდგომარეობა მთელის სამქიპით თავს დაატყდა რაჭის მაზრის გლეხობა, რომელმაც უკანასკნელ ხანს უყვე კატასტროფის ხასიათი მიიღო.

ამ დღეებში მიწადმოქმედების კომისარს მოხსენება წარუდგინა რაჭის მაზრის პარტკომის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. დ. ნასარიძემ რაჭის მაზრის მშრომელ გლეხობის მდგომარეობის შესახებ. რომელშიაც იგი ასწერს რა უმიწობით გამოწვეულ შიმშილობისა და სტიქიურ უბედურებისაგან რაჭის მოსახლეობის თანდათანობითი განადგურების ამბავს, შუამდგომლობს, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ თავს იღვას რაჭველთა სხვა ადგილებზე გადასახლების ორგანიზაციის საქმე.

ეს მოხსენება ილიუსტრაციაა საქართველოს, ერთი ჯანსაღი და საუკეთესო კუთხის ტრაგედიისა მოხსენებაში ნათქვამია, რომ რაჭის მაზრა მუდამ დაბეჩავებულ მხარეს წარმოადგენდა, რაიც გამოწვეული იყო გლეხისათვის სამუშაო მიწის სიმციროთ ამ. სიმცირემ უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით კატასტროფის ხასიათი მიიღო, რადგან ბუნებრივად ხალხის ზრდას თან მოსდევს სახნავ-სათეი ადგილების ბუნებრივი სიმცირე.

რაჭა მდებარეობს ფერდობ და დაქანებულ ადგილებზე. ეს ადგილები ჯერ ისევე ნაშინ, როდესაც არ შემორტყმული იყო ტყეებითა და უფრო მეტი აყოფიერება და ბარაქა ჰქონდა, იძლეოდა მხოლოდ საშუალო მოსავლს, რაც სავსებით ვერ აკმაყოფილებდა რაჭველი გლეხის საჭიროებას. ხოლო შემდეგ, როცა დაიწყო ამ ტყეების სისტემატიური გაჩეხვა, ბუნებრივია, რომ სახნავ-მიწებს აღადგური ჰფარავს გოლვისაგან. ამას ზედ ერთვის თითქმის გაქუდმებული მეწყურები, რომელიც სისტემატიურად რეცხს ნიადაგს და მას შიშველ ქვაზე გლეხებს. ამ მიზეზით რაჭის მაზრას ყოველ წლიურად უკლებდა ათეული და ოცეული დესეტინა სამუშაო მიწები. თუ მხედველობაში მივიღებთ აგრედვე რაჭის მაზრის განსაკუთრებულ თვისებებს, სეტყვას, ნივრებს და მეტისმეტად თოვლიანს და გრძელ მთარს რომელიც ნოემბრიდან დაწყებული აპრიამდე გასტანს ხოლმე ჩვეთვის ცხადი გახდება. ამ იქ სასოფლო მეურნეობას ასე ესთქვით თავი სეზონი აქვს და ასეთ პირობებში შეუძლებელია აქაურმა გლეხმა საკუთარის მოსავლით დაიკმაყოფილოს მოთხოვნილება, მით უმეტეს რომ, რაჭის მაზრაში ითვლება ხუთმეტე ათასი კომლი

მცხოვრები, რაც შეადგენს დაახლოებით ოთხმოცი ათას სულზე მეტს.

აი, ამ მცხოვრებთა სამოცი პროცენტი შიმშილი და გარედან შეტანილი საჩივრით იკვებება იშვიათ და კარგ მოსავლიანის წლებშიც კი. ხოლო უმოსავლო წლებში კი დამშუულ მცხოვრებთა ოთხმოციდან ოთხმოცდა ათამდე პროცენტი, რომელიც თითქმის მუდმივად განიცდის ამ ნიადაგზე გამოწვეულ ტანჯვასა და შევიწროვებას.

ამ მოვლენამ გასაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო უკანასკნელი წლების განმავლობაში, რომელშიც ერთგვარი გარდატეხა მოახდინა რაჭველი გლეხის ფსიხოლოგიაში და იგი დაარწმუნა, რომ საჭიროა სხვა უფრო ნაყოფიერი მიწის გამოძებნა თავისი მეურნეობის საწარმოებლად. მაგრამ ამ იდეის განხორციელება ყოველად მოუხერხებელი შეიქმნა, რადგან მასიური გადასახლება მოითხოვს დიდ დახმარებას, რაც უნდა გამოიხატოს როგორც საცხოვრებელ და სამუშაო ადგილებს მიჩვენაში, აგრედვე მატერიალურ ღოსისძინებათა განხორციელებაში. ამიტომ რაჭველმა გლეხებმა თითობით დაიწყეს „ბედის ძიება“ და მიაშურეს როგორც ჩვენი ქვეყნის ქალაქებს, აგრედვე მთელს რუსეთსა და ამიერ-კავკასიის სხვა კუთხეებს. მეფის მთავრობა თავს არ იწუხებდა ამ კუთხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მათი გადასახლებისათვის არ იღებდა ზომებს, —ამავე დროს რუსეთის შიდა გუბერნიებიდან ძალით მიერეკებოდა გლეხობას და ამრავლებდა სტრატეგიულ კოლონიებს, რომლის მიზანიც იყო უბირველეს ყოვლისა — ქართველი ხალხის პოლიტიკური გადაგვარება. გადმოსახლებულ რუსის გლეხობას ურიგებდნენ ქართველი სოფლისათვის აუცილებელ საჭირო მიწებს, იარაღს ფულს, სათესლეს და სხვა ხელსაწყოებს.

ასეთი პოლიტიკის წყალობით ძლიერ გამრავლდა საქართველოს სხვა და სხვა ადგილას რუსული სოფლები და აგრედვე ყველა თავისუფალი მამულების გადაღება ამ გვარივე ემიგრაციის გასაძლიერებლად.

ცხადია, ამ ტენდენციის გამტარებელი მეფის მთავრობა, რომელიც ღვარძლსა სთესდა და სისხლის სუნითა სტკებოდა, რომლისათვისაც არ არსებობდნენ ხალხის მწუხარება და არც მისთვის ზრუნვის შეგნება, — თავს არ შეიტკიებდა რაჭველ გლეხების გაჭირვების შესამსუბუქებლად და მათ მასიურად გადასახლებლად.

1917 წლის რევოლიუციის შემდეგ ბევრი რუსის სოფელი აიყარა და გადასახლდა თავის სამშობლოში. მათი მამულები ქართველი გლეხების განკარგულებაში გადავიდა, მაშინ საქართველოს ყოფილმა მთავრობამაც თითქოს მოიწადინა ზიგიერთი კუთხეებიდან გლეხობის სხვა და სხვა ადგილებზე გადასახლება და საამისო ზრუნვა დააქისრა ერობას. ამ ერობასა და მიწადმოქმედების საშინისტრო საშუალებით კიდევ მოხდა რანდენიმე ადგილებზე „გადასახლება“, რომელთა შორისაც

ქველი გლეხებიც მოხვდნენ, მაგრამ სამწუხაროდ ეს გადასახლება ისეთ პირობებში ხდებოდა, რომ შეუძლებელი იყო რაქველ გლეხთა თავიანთსაცხოვრებელ ადგილების მიტოვება და მასიური გადასახლება, ამისთვის ხელისშემშლელი მიზეზი უმთავრესად იყო ჯერ ერთი ის, რომ გადასახლებისათვის ყველა საჭირო მოთხოვნილებას და ყველა აუცილებელ პირობას ვერ აკმაყოფილებდა ხსენებული მთავრობის ორგანო და მეორეც ის რომ ეს გადასახლება არ იყო წმინდა ეკონომიური ხასიათისა და მას პოლიტიკური სარჩულიც ედვა. მაგალითად იყო შემთხვევები, როცა რაქველთა რამოდენიმე ოჯახი გადასახლეს ცხინვალის რაიონში—სამხედრო მოქმედების დროს გაქცეულ ოსების კარმიდამოში, სადაც ყოველ პოლიტიკურ ცვილილების დროს ხიფათი მოელოდა გადასახლებულ უდანაშაულო გლეხებს.

ეს შიში სრულიად გამართლდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს, როდესაც გაბრაზებულმა ოსებმა მენშევიკებისა და გვარდიელების შური იქ გადასახლებულ რაქველ გლეხებზე იძიეს და მრავალი მათგანი წამებით გამოასალმეს სიცოცხლეს.

გადასახლების ასეთივე ტენდენციის თვალსაზრისით—რაქველებს წინადადება ეძლეოდათ გადასახლებულიყვნენ ჯავახეთის აკლებულ მხარეში, მაგრამ რაქველმა გლეხებმა ესეც ვერ გაბედეს „თათრის შიშით“. ამნაირად რაქის გაჭირვებულ მშრომელთა მიწით დაკმაყოფილება და მათი მასიური გადაყვანა ახალ ადგილებზე, ვერ შესძლეს მენშევიკებმა. ამავე დროს კი მათი გაჭირვება დღით დღე უარესდებოდა და როგორც ვსთქვით, საერთო კატასტროფის ხასიათს იღებდა.

ეს საკითხი დღეს უადრესად მომწიფებულია და მისი გადაჭრა ეხლა მაინც სასწრაფოდ უნდა მოხდეს, თუ გვინდა, რომ ამ მაზრის მცხოვრებთა მრავალი სიცოცხლე და ოჯახი სტიქიური უბედურების მსხვერპლად არ გახდეს.

საბჭოთა ხელისუფლებამ განსაკუთრებული მზრუნველობა უნდა გამოიჩინოს განადგურებულ რაქველების მიმართ და ხელი მოჰკიდოს მათი გადასახლების ორგანიზაციის საქმეს. მიღებულ ცნობების თანახმად ამ საქმის მოსაწესრიგებლად უკვე გადადგმულია ნაბიჯები: ამხ. ნასარიძის მოხსენებაში ნათქვამია, რომ რაქის მაზრის ნაშანევის თემის ას კომლს გადაწყვეტილი აქვს გაზაფხულზე გადასახლდეს აფხაზეთში, სოხუმის ოლქის რაიონ — „ფსხუნში“, რისთვისაც აფხაზეთის მთავრობისაგან უკვე მიღებულია დამაკმაყოფილებელი დასტური. ამავე დროს მიწათმოქმედების კომისარმა მიმართვა გაუზაფანა აფხაზეთის კომპარტიის ცეკასა და მთავრობას, სადაც იგი თხოულობს ხელი შეუწყონ რაქველ გლეხების გადასახლების საქმეს—და სხვ. ყველა ეს დამადასტურებელი იმისი, რომ რაქის მაზრის მცხოვრებთა საკითხი სერიოზულ საკითხად მიიჩნია საქართველოს საბჭოთა მთავრობას

და იგი ხელსა ჰკიდებს მის დაგვირგვინების საქმეს. ამიტომ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ რომ მიწადმოქმედების კომისარიატი შემდეგ უნდა გადასდგამს და უფრო პრაქტიკული მოღვაწეობას შეუდგება ამ დარგში.

ამხ. ნასარიძის მოხსენებაში აღნიშნულია ზოგიერთი ღონისძიებანი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს საბჭოთა მთავრობამ რაქველთა გადასახლების დროს. გადასახლების დროს საჭიროა მთავრობის ფართე დახმარება: რკინისგზითა და ზღვით უფასო მოგზაურობა, ფული, იარაღები, სათესლე და სხვა ხელის შეწყობა, რათა ეს გადასახლება უმტკივნეულოდ მოხდეს. აუცილებლად საჭიროა ყველა გადასახლებულ ჯგუფისათვის შერჩეულ იქმნას სალი ადგილები, რადგან რაქველი შეზრდილია მთიან ადგილების ჰავას და ადვილად ვერ აიტანს დაბლობ და ქაობიან ადგილზე ცხოვრებას.

საჭიროა იმ მიზნის განსახორციელებლად შესდგეს საგანგებო მუდმივი ორგანო, რომელიც სათავეში ჩაუდგება და პირდაპირ ხელმძღვანელობას გაუწევს გადასახლების საქმეს.

მუდმივი ორგანოც ჩვენ ვამბობთ, რადგან მცხოვრებთა ერთი ადგილიდან მეორეზე გადასახლება—მეურნეობის განვითარებისა და მშრომელთა ეკონომიური კეთილდღეობის მიზნით, მხოლოდ შემთხვევითი და ერთი დღის საკითხი კი არ არის, არამედ მას ხანგრძლივი ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა ესაჭიროება.

ეს საკითხი აუცილებლად სასწრაფოდ უნდა გადაიჭრას, რადგან რაქის მაზრის მცხოვრებთა გაჭირვება იმდენად დიდია, რომ ყოველ დაგვიანებულ დღეს ისინი უარეს უბედურებისაკენ მიჰყავს.


San.

ახალი აკონომიური პოლიტიკის უახმაზ მოხსენავის თაყისაჲი.

1. საბჭოთა რესპუბლიკები დანგრეული სახალხო მეურნეობა, როგორც იმპერიალისტურ და სემოქალაქო ომების, რეკვიზიციების და ხარკების შემეკვიდრეობა, — რომელიც უმთავრესად გლეხობას აწევს, თხოულობს სასწრაფო ზომებს თავის აღსადგენათ.

2. დანგრეული სახალხო მეურნეობა კომუნისმის ძირის გამოთხრელია, ის სპობს მსხვილ მრეწველობას, რომლის აულორძინებლად შეუძლებელია პროლეტარიატის დიქტატურის და მაშასადამე კომუნისმის განხორციელება, რადგან, ამ შემთხვევაში, თვით მუშათა კლასის არსებობა დიდი საფრთხის წინაშეა.

3. მსხვილი მრეწველობა არის: 1) მთელი ტექნიკური განვითარების თავდასაწყისი, 2) კვანძი კომუნისტურ საზოგადოების ეკონომიურ ურთიერთობისა, 3) დასაყრდენობი იმ სოციალურ ძალისა,



რომელიც რევოლუციის კომუნისტურ ძალას ან-
ხორციელებს ე. ი. პროლეტარიატისა. აი რატომ
მიმდინარე მომენტში სამეურნეო პოლიტიკის არ-
სებთი ამოცანა არის მსხვილი მრეწველობის აღო-
რძინება-გამაგრება.

4. მსხვილი მრეწველობის აღსადგენად უნდა
ვიზოვნოთ რა ფასით და საშუალებითაც არ უნდა
იყოს, პროდუქტების დამატებითი რაოდენობა, ვი-
ნაიდან სასურსათო, ნედლი მასალის და სხვა ფონ-
დების გარეშე წარმოუდგენელია მსხვილი მრეწვე-
ლობის განმტკიცება. ცხადია, რომ, როგორც გა-
მოცდილებაში გვაჩვენა, თუ მუშებს სამკაოდ არ
უზრუნველყოფთ სურსათით და სხვა საგნებით,
არაფრის გაკეთება არ შეიძლება. პროდუქტების
დამატებით რაოდენობის შოვნა კი შეიძლება მსხვი-
ლი ინდუსტრიის სფეროდან კი არა არამედ სხვადა
სხვა გარეშე წყაროებიდან.

5. ამისათვის მთავარ წყაროს წარმოადგენს
სოფლის მეურნეობა, მეურნეობა წვრილი-ბურჟუა-
ზიული, რომლის ზრდას და მოდონირებას გზას
ვერ აუტკევეთ, რადგან მიწათმოქმედების ნაყოფი-
ერების აწევის საკითხი ჩვენი რესპუბლიკის სოფ-
ლის მეურნეობის ორგანიზმისათვის და განსაკუთ-
რებით გლეხობისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო
საკითხია.

6. სოფლის მეურნეობის კრიზისი, რომელიც
გამოიხატა დასათეს შინდერების რაოდენობის შემ-
ცირებაში, მიწის დამუშავების ჩამოქვეითებაში,
მეურნეობის სისტემის საყოველთაო დაწევაში და
აგრეთვე მესაქონლეობის რიცხოვნობის და ღირსების
მზრვი-დაცემაში, — როგორც შედეგი მეფის და მე-
მამულეების მიერ გლეხობის ექსპლოატაციისა,
იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომისა, სასურსა-
თო განაწილების სისტემისა, რომელიც აუცილებელი
იყო ომის ხანაში და რომელმაც დასცა გლეხობის
ინტერესი თავის მეურნეობის ნაყოფიერებისადმი
და სხვა... უნდა გადავლახოთ უსათუოდ და აუცი-
ლებლად.

7. ამისათვის უნდა შეიქმნას ისეთი პირობები,
რომლებიც წააქეზებს და დაინტერესებს გლეხს
მისი მეურნეობის უკეთ მოწყობაში. ნატურალურ-
რი გადასახადი, რომელიც სცვლის ჩვენი აგრა-
ლური პოლიტიკის განხორციელებას პრაქტიკულ
მხარეს, რაც სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე
მონოპოლიის მოსპობას და თავისუფალ ვიჭობის
დაშვებას და აგრეთვე გლეხის მიერ, გადასახადის
შეტანის შემდეგ, მის დარჩენილ ზედმეტ პროდუ-
ქტების სრულ თავისუფალ განკარგულებას გუ-
ლისხმობს, — ბურჟუაზიულ საქმიანობის საშვალე-
ბას იძლევა, — სწორედ ჩვენ მიერ დასახულ მიზანს
ემსახურება. ამნაირად სასურსათო გადასახადი არის
ომით, გაქირვებით და უკიდურეს განადგურებით
გამოწვეულ თავისებურ სამხედრო კომუნისმიდან
სწორ სოციალისტურ გაცვლა-გამოცვლის წესზე
გადასასვლელი ერთ-ერთი ფორმა და არა გადასე-
ლა კომუნისმიდან საერთოდ ბურჟუაზიულ პირო-

ბებზე, როგორც ამას მენშევიკები და სხვანების
ჩვენი შემცდარი ამხანაგები ლაპარაკობენ.

8. ასეთი სისტემის მეოხებით ბაზარზე
ხარისხოვან როლს თამაშობს სოფლის მეურნისა-
თვის. ბაზარზე ის ეძებს სოფლის მეურნეობის და
თავის პირად მოთხოვნილებისათვის საჭირო საგ-
ნებს. ბაზრის გაღვლეა გლეხთა მეურნეობაზე და-
მოკიდებული იქნება სოფლის მეურნეობის ნაწარ-
მოების რეალიზაციის შესაძლებლობაზე, რომელიც
უნდა განხორციელდეს საქონლის გაცვლა-გამოცვ-
ლის საშუალებით.

9. ბაზრის მომხარაგებელ წყაროს შეადგენენ:
სახელმწიფო მრეწველობა, შინა-მრეწველობა და
წვრილი, კერძო მრეწველობა; ეს ორი უკანასკ-
ნელი დარგი ინდუსტრიისა, როგორც სასოფლო
მეურნეობისათვის საჭირო საქონლის მიმწოდებელი
წყარო, მიმდინარე მომენტში უნდა ვახდეს პრო-
ლეტარულ სახელმწიფოს ყურადღების საგნად. მა-
თვისაც, მსგავსად სოფლის მეურნეობისა, უნდა
შეიქმნას ისეთი წამქეზებელი სტიმული, რომელიც
განათავისუფლებს ამ დარგებს ყოველგვარ შემავიწ-
როებელ ზომებისაგან და დაინტერესებს წარმოე-
ბის ნაყოფიერების ზრდაში, ვინაიდან წვრილი
მრეწველობა და შინა-მრეწველობა წარმოადგენს
სწორედ იმ წყაროს, რომელიც ადიდებს პროდუქ-
ტების დამატებით რაოდენობას, რაც აუცილებე-
ლია მსხვილი მრეწველობის აღსადგენათ.

10. პროდუქტების დამატებითი რაოდენობი-
სათვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს აგრე-
თვე იჯარაც. იგი მისაღებია ან კაპიტალისტური
იჯარის სახით, ან და წარმოების მუშათა კოლექ-
ტივებისათვის იჯარის გადაცემით ორთავე შემ-
თხვევაში იჯარის მიზანს შეადგენს ამოიღოს
გლეხთა მეურნეობის სფეროდან ნედლი მასალა და
სურსათი და აღადგინოს ის წარმოებანი, რომელ-
თა ექსპლოატაცია არ შეუძლია თვით სახელმწი-
ფოს. იჯარით მხოლოდ იმ წარმოების გაცემა შე-
იძლება, რომლებიც სახელმწიფოს არ შეუძლიან
გამოიყენოს საექსპლოატაციოდ ამა თუ იმ მიზნ-
ზემისა გამო, სახელმწიფო: ისეთი წარმოებანი, რომ-
ლებიც არ მუშაობენ, ან მუშაობენ, მაგრამ არა
აქვთ არავითარი ფონდი და არსებულ პირობებში
სახელმწიფოსათვის უსარგებლონი არიან.

11. კონცესიები სხვა და სხვა ხასიათის იჯა-
რას წარმოადგენენ. ეს არის საბჭოთა სახელმწი-
ფოს ხელშეკრულება ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა
მსხვილ კაპიტალისტებთან, საბჭოთა რესპუბლიკე-
ბის ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაციისთვის,
რადგან თვით საბჭოთა რესპუბლიკებმა ვერ შეს-
ძლეს ამ ექსპლოატაციის წარმოება. მოიჯარადრე,
როგორც კონცესიონერი, დამუშავებულ საქონ-
ლის წილადობრივი გადანაწილების საბჭოთა სახელ-
მწიფოსათვის გადაცემით, უთუოდ დიდ დახმარე-
ბას გაუწევს სახელმწიფოს ხელში გადასულ მსხვილ
მრეწველობას. ამისთან ერთად, საფლდებულთა

რ. შრომის დაცვის კოდექსის განხორციელება

კველი გადასაგარეო ვაჭრობა კაპიტალისტურ სა-საწიფოთა ბაზრებზე ჩვენი მრეწველობისათვის აუცილებელ საქარო მანქანების, მუშებისათვის საქარო ტანსაცმელის, სურსათის და სხვათა შესყიდვა; აგრეთვე მნიშვნელოვანი წყაროა პროდუქტების დამატებითი რაოდენობისათვის, რომელიც უზრუნველყოფს მსხვილი ინდუსტრიის ნორმალურ აღორძინებას.

მაგრამ ცხადია, რომ არავითარ პირობებში და მდგომარეობაში სამქოთა მთავრობამ ხელიდან არ უნდა გაუშვას მუდმივი კონტროლი იჯარით გაცემულ საწარმოვო დაწესებულებებისა, სულ ერთია, კონცესია იქნება ის თუ იჯარა. ასეთი კონტროლი აუცილებელია განსაკუთრებით საგარეო ვაჭრობისათვის, ვინაიდან ამ ვაჭრობას თავისუფლება შეიქნებოდა არა მარტო ჩვენი რესპუბლიკების განადგურების საშუალებათ, — არამედ გაარღვევდა მთელ საბქოთა ფრანტს და ბოლოს მოუღებდა მუშათა და უღარიბეს გლეხთა დიქტატურასაც.

13. სახელმწიფო კაპიტალიზმის სისტემა, რომელიც არსებულ ეკონომიურ მდგომარეობასთან შედარებით შეიცავს პროგრესს და რომელიც საბქოთა სახელმწიფოსათვის, — სადაც პროლეტარიატის ინტერესები უზრუნველყოფილია, არ წარმოადგენს არავითარ საფრთხეს, — არსებულ კერძო მეურნეობითი კაპიტალიზმის სისტემაზე კონტროლის გაწვევა, მაგალითად წვრილ მრეწველობაზე, წარმოების აღრიცხვაზე და აგრეთვე საგარეო ვაჭრობაზე.

14. ამის და მიხედვით კოოპერაციის წინაშე სდგება ფრიალ მნიშვნელოვანი ამოცანები: 1) დამხადება სურსათის და სხვა საგნებისა, — ქალაქებსა და სოფელს შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლის საწარმოებლად. 2) მისწრაფება კერძო კაპიტალის შესავიწროებლად და გასაძევებლად შინაური და საგარეო საქონლის ბრუნვის ფარგლებიდან, კონკურენციის საშუალებით. 3) წარმოების ორგანიზაცია კოოპერაციის ნიადაგზე და მშრომელთა შორის ნაყოფის განაწილება. 4) სახელმწიფოს შინაური წვრილ მრეწველობის კონტროლის გაწევა. კოოპერაცია ღებულობს უპირველესი ხარისხის მნიშვნელობას, იგი ფაქტიურად წარმოადგენს სახელმწიფო კაპიტალიზმის ერთ-ერთ სახეს და აქვს იგივე მიზანი, რაც სახელმწიფო კაპიტალიზმს. კოოპერაცია ხდება აუცილებელ ძალათ და საშუალებათ ჩარჩ-სპეკულიანტების და შინაური ბაზრის სხვა უარყოფითი ფაქტორების წინააღმდეგ საბრძოლველად.

15. იმ დამატებითი რაოდენობის პროდუქტების გარეშე, რომლებიც აღნიშნულ ზემოდ ნახსენებ საშუალებებზე მითითებით, ნეილი მასალის, სურსათის და სხ. გარეშე, მსხვილი მრეწველობის დასაფუძნებლად და გასაძევილებლად აუცილებ-

ლათ საქაროა აგრეთვე ტენიკურ მოწყობილობათა ფართოთ გამოყენება. ამ შემთხვევაში უდიდესი როლი უნდა ითამაშოს საგარეო ვაჭრობამ და კონცესიებმა, პირველ რიგში უნდა მოაღწესონ ელექტროენერჯის, პროდუქციის ტენიკურად მოწყობილ წარმოებებში. ელექტროენერჯის აუცილებელია აგრეთვე სოფლის მეურნეობის წარმოებათა დარგშიც. მთელი რესპუბლიკის ელექტროენერჯის ნიშნავს კომუნისმის განხორციელებას.

16. ამასთანავე ერთად ახალი ეკონომიური პოლიტიკა, — მიღებული პარტიის მეათე ყრილობაზე და დამტკიცებული პარტიის სრულიად რუსეთის კონფერენციის პროფესიონალურ-წარმოებითი კავშირების ყრილობებისა და სახალხო მეურნეობის მეოთხე ყრილობის მიერ, საკითხს აყენებს მუშათა კლასის მდგომარეობის აუცილებლად გაუმჯობესების შესახებ. ვინაიდან ერთად-ერთ ძალას მსხვილი ინდუსტრიის აღსადგენად წარმოადგენს პროლეტარიატი, რომელსაც ნივთიერი გაჭირვების გამა გაცამტვერებისა და წვრილ ბურჟუაზიულ მასსაში გათქვეფის ხიფათი ემუქრებოდა.

17. პროლეტარიატის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და შრომის ნაყოფიერების ასაწევად გამომუშავებულია შრომის ხელფასის ახალი ნორმები:


1. კოლექტიური მომარაგება მდგომარეობს იმაში, რომ განსაზღვრულ წარმოებას, სადაც რასაკვირვლია, არ არის შემუშავებული შტატების მტკიცე ნორმა, ეძლევა ფულისა და აგრეთვე ნატურალური ფონდი, რომელიც გამოანგარიშებულია თანამშრომლებთა შემადგენლობის მიხედვით: ფონდი ეძლევათ იმ პროცენტით, რა პროცენტითაც შესრულებულია წარმოებითი პროგრამა და შტატების შემცირებასთან ერთად ეს პროცენტი არ მცირდება.

2) საკუთარი ნაწარმოების გადარიცხვა (ნატურიროვკა) აქ იგულისხმება სამ ნაირი სახე: 1) პირდაპირ ნაწარმოების გადარიცხვა, 2) სამუშაო დროის გადარიცხვა, სამუშაო პროგრამის ერთი ნაწილის სახელმწიფო შეკვეთებისაგან განთავისუფლებით, კოოპერაციის მოწყობისათვის, 3) მთელი ხელფასის გადარიცხვის ანგარიშზე გადატანა, სახელმწიფო მომარაგებისაგან მოხსნით.

3) განუსაზღვრელი ნარდობითი ხელფასი (ხედმეტი მუშაობის შეუკვეცელად). ეს სისტემა უფრო გასაგებია და ახალისებს მუშას შრომის ნაყოფიერების ასაწევად.

18. გარდა იმ ამოცანებისა, რომლებიც საზოგადოდ კოოპერაციის წინაშე სდგას, მუშათა კოოპერაციამ (იხილეთ თეზისები № 14,) უდიდესი როლი უნდა ითამაშოს მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

შრომის ხელფასის ახალი ფორმები საშუალებას აძლევს მუშათა კოოპერაციას შექმნას ქალაქის ინდუსტრიის ნაწარმოებიდან და პროცენტ-



ლურ პროდუქტების გადარიცხვით მტკიცე და მუდმივი ფონდი.

მუშათა კოოპერაცია ხდება რესპუბლიკის სახალხო სამეურნეო ორგანიზული ჯაჭვის თვალსაჩინო რგოლად, რომელსაც ესაკუთრება თითქმის მონოპოლიური ფუნქციები ქალაქსა და სოფელს შუა საქონლის გაცვლის ან უკეთ რომ ვსტევათ ნაწარმოებთა გაცვლის საქმეში.

19. შრომის ნაყოფიერების გასაძლიერებლად, მუშის დაინტერესების გარდა, აუცილებელია აგრეთვე მრეწველობის კონცენტრაციისა და წარმოებათა კომბინაციის ფართო გამოყენება. წინედ ღონის „ბასეინის“ რამოდენიმე მაღანი იმდენ ნახშირს იძლეოდა, რამდენსაც ეხლა მთელი ღონის „ბასეინი“ იძლევა.

1920 წელს დაჯანდრული ღოთონის მთელი წარმოება უდრიდა 9 მილიონ ფუტს, რომლის რაოდენობას წინედ მხოლოდ ერთი საშუალო პეტროვსკის ქარხანა ამზადებდა. ამნაირად სათბობი მასალის საშუალო ძალის და სხ. უსარგებლო ფლანგვა ხდება. გამოსავალი მხოლოდ მრეწველობის კონცენტრაციაში და წარმოების კომბინაციაშია, რომლების საშუალებით შეიძლება: 1. თავი დავახწიოთ საეგებიო, საერთო სახელმწიფოებრივ მასშტაბში მეორე ხარისხოვან მასალების განაწილების გეგმების შედგენას, რომელთა შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება საბუთები რესურსებისა და მოხარების შხრივ. 2) შეუფარდოთ მოთხოვნილებას წვრილი მრეწველობის განვითარება, შევამციროთ კერძო კაპიტალის დაშვების სფერო.

20. ეკონომიური პოლიტიკის ახალი კურსის გამო კომუნისტური პარტიის წინაშე, სახელმწიფო ხელისუფლების მატარებელ პროლეტარიატის პარტიის წინაშე, სდგას შემდეგი ამოცანები.

1) შეგროვება, მოზიდვა და შენახვა სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა, რომლებიც ერგება სახელმწიფოს ნატურალური გადასახადის გამო. 2) ბაზრის მომწესრიგებელ პირობების შექმნა, რომელთა მეოხებითაც საქონლის გაცვლა-გამოცვლას პროდუქტების მაქსიმუმი უნდა გადადიოდეს სახელმწიფო ფონდში, და გადაიქცეს მსხვილი მრეწველობის განვითარების ბაზად, რაც შეადგენს ჩვენი მეურნეობის საფუძველს.

3) მრეწველობის და სოფლის მეურნეობის გაცვლა-გამოცვლის, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, გამოცოცოხლება, რომ მატერიალურ რესურსებს არ იტაცებდნენ ჩარჩები და სპეკულიანტები და გონიერად ხმარდებოდნენ ნახშირის და ნავთის ამოღებას, ტრანსპორტის და მსხვილი მრეწველობის აღდგენას.

4) უაღრესი ყურადღება მიექცეს კოოპერაციებს: ა) მომხმარებელთა და მუშათა კოოპერაციას, რომელსაც დაკისრებული აქვს განაწილების მთელი ფუნქციები. ბ) სარეწავ და წარმოებითი (იმავე მუშათა კოოპერაციაში), რომელიც კერძო კაპიტალის გამოყენებას განსაზღვრავს. გ) სასოფლო სამეურნეო არტელებს, ამხანაგობებს და სხ.

მათთვის სოფლის მეურნეობაში მოსახმარ საგნების დამოუკიდებელ, შინა მრეწველობით, ქაბელონის ნოების მოწყობის უფლების მანიჭებით და ადგილობრივ თვითმომკმედების და ინტეგრირების თვის ყოველ შხრივი ხელის შეწყობა, ვინაიდან ოთხი წლის განმავლობაში ადგილობრივი ძალები განმტკიცდნენ, შეიძინეს გამოცდილება და დანგრეულ მეურნეობის აღსადგენ ბრძოლის ფრონტზე გამობრძმედილ იარაღით შედიან საბჭოთა ცხოვრების ახალ სფეროში.

ზგრაბული საპითხი საგჭოთა საქარტველოში

(დასასრული*)

საბჭოთა მთავრობამ ძველ მეზამულოთაგან მიწების ჩამორთმევითა და მიწის ფონდის შექმნით თუმცა უდიდესი სამუშაო დაასრულა, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი და უმნიშვნელო ნაწილ ა აგრარული საკითხის საბოლოო გადაჭრისა. ამავე სამუშაოს პირველი ნაწილის ფარგლებში შედის ამავე მიწების უღარიბეს მშრომელთა შორის განაწილება! რომლის დამთავრებაც მოიახოვს რამოდენიმე თვის შრომას. მიწის ფონდის უმიწაწყლოთა და მცირე მიწის მქონეთა შორის განაწილების საკითხი მკიდროდ არის დაკავშირებული მცხოვრებთა გადასახლების საკითხთან, რადგან ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ მცხოვრებთა სიმჭიდროვის გამო შეუძლებელი ხდება მშრომელთა იმ ნაწილის დაკმაყოფილება, რომელიც უკიდურეს გაჭირვებას განიცდის მიწის უქონლობის გამო.

მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ რაჭის მაზრა, სადაც მცხოვრებთა თითქმის 50% სხვა ადგილებზე გადასახლების საკითხი მორიგ საკითხად არის დასმული ხელისუფლების ადგილობრივ ორგანიზაციების მიერ. ეს მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ რაჭის მცხოვრებთა 60% მშვიერი რჩება საშუალო მოსავლიან წლებშიაც კი. უმოსავლო წლებში ხომ ეს პროცენტი ერთი ორად იზრდება. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში რაჭის მაზრის მცხოვრებთათვის ადგილობრივ მიწების დარიგებაზედ ლაპარაკიც კა ზედმეტია.

ამ ნიადაგზე გამოწვეულ განსაკუთრებულ შემთხვევისათვის გათვალისწინებულია განსაზღვრული წესები

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სოფელში არ მოიპოვება საკმაო მიწის ფონდი უმიწაწყლო გლეხებისათვის დასარიგებლად კომისია ვალდებულია მიიღოს ზონები და ეს საქროება დააკმაყოფილოს მახლობელ სოფლის მიწის ფონდიდან ან შემოსენებული უმიწაწყლო გლეხები სხვა ადგილზე გადასახლოს (იხ. წესები—მუხლ. 28).

*) იხ. „ზოამბე“ № 20.

რაც შეეხება უმიწიწყლო და მკირე მიწის მქონეთა გადასახლების პრაქტიკულ მხარეს ეს დაკისრებული აქვს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს. გადასახლებულთა დაკმაყოფილება სწარმოებს იმავე ნორმით რა ნორმაც ქათთვის დასახლებულთა ფონდში იყო განსაზღვრულა.

მიწადმოქმედების კომისარიატი ხელმძღვანელობას უწევს გადასახლებულთ და მათ, ადგილობრივ ბუნებრივ პირობების მიხედვით ვხმარება ადგილებზე გადაყვანით, გადასახილ საშუალებით, საშენებელ მასალით, სამეურნეო იარაღებით, სამუშაო საქონლით, სათესლე ხორბლით, ოჯახისა და საქონლისათვის საჭირო საკვებით (პირველ მოსავლამდე) სახალხო შენობათა აგებით და სხვა (იხ. წესების 34 მუხლი).

ამრიგად, ყოველ გადასახლებულს, როგორც ისეთ პირს რომელმაც გამოიჩინა განსაზღვრული ინიციატივა და ენერჯიის უნარი. სახელმწიფო ფართოდ ვხმარები მთელ ჯრივ ნივთიერ საშუალებათა მინიჭებით და ამით საშუალებას აძლევს, მას, რომ მომავრდეს და ფეხი მოიკიდოს ახალ ადგილზე.

ასეთია საერთოდ ის ვალდებულება რომელთა შესრულება დასჭირდა პირველ რიგში საქართველოს საბჭოთა მოაგრობას აგრარული საკითხის გადაჭრის დროს. ამ საკითხის მეორე უფრო ძნელი და მძიმე ნაწილი, რომლის განხორციელებაც მოითხოვს დიდ დროს და ენერჯიას, მდგომარეობს იმაში, რომ სახალხო მეურნეობას—მისი არსებობისათვის საჭირო ახალ საშუალებათა მინიჭების შემდეგ გამოალბინოს თავისი ნაყოფიერების მაქსიმუმი. ასეთი მუშაობა დღიურ წესრიგშია დასმული ახლო მომავალში უნდა დაიწყოს. თქმა არ უნდა, რომ საბჭოთა მთავრობას ამ საქმის განხორციელებაში მცხოვრებნი თანაგრძნობით მოეკიდებიან და დახმარებასაც აღმოუჩინენ. ამ მუშაობის დროს პირველ რიგში საბჭოთა მთავრობას დასჭირდება თავიდან ააცილოს მთელი რიგი ხელის შეუშლელი მიზეზებისა, რომლებიც აბრკოლებს სახალხო სასოფლო-მეურნეობის განვითარებას. ეს მიზეზებია ჩაქსოვილია როგორც თვით ქვეყნის ადგილობრივ პირობებში, ისე ხალხის ჩვეულებებშია.

შხალოდ ამ მიზეზების ხალხის დახმარებითვე თავიდან აცილების შემდეგ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ საქართველოს ჩამოქვეითებულ მეურნეობა გადაიქცევა მაღალ ინტენსივობისა და კუტურულ სამეურნეო ორგანიზმად.

სახალხო მეურნეობის ერთი დამაბრკოლებელი მიზეზთაგანი მდგომარეობს საქართველოს ტერიტორიის ტოპოგრაფიულ პირობათა სხვა და სხვანაირობაში. ეს სხვა და სხვაობა გამოიხატება იმაში, რომ გლეხთა მეურნეობა შეფარდებული არ არის კლიმატიურ პირობებს.

ასეთი შეფარდება უქვეყნოდ მოითხოვს სამიწადმოქმედლო მეურნეობათა შეჯგუფებას, მაგრამ ეს შეჯგუფება უნდა მოხდეს არა ძველი ტრადიციულ ჩვეულებების მიმდევრობის საფუძველზე. არამედ სა-

ჭიროა ხელმძღვანელობა ისეთი ფაქტორებისა, რომელთა საშუალებითაც შეიძლება ადგილობრივი კულტურისა და ბუნებრივი პირობების ურთიერთშორისი დაშოკიდებულების შეფარდება.

სამუშაოროდ საქართველოში სასოფლო მეურნეობა ხშირად ანგარიშს არ უწევს ნიადაგის, ადგილ მდებარეობის თავისებურობას და ეს შეურწეობა სწარმოებს სრულიად შეუსაბამო საფუძველზე. ეს მდგომარეობა აიხსნება ქართველი გლეხობის იმ ტრადიციულ დაუდევრობით, რომელიც მთაქვალრბილში აქვთ გამჯდარი. მაგალითოდ ბორჩალოს მაზრის მინდვრების მაგალითად გმსაკუთრებით მაღალი ლირსების ბაღში რაც შეეხება პურის მოსავალს, აქ ის იმდენად ნაკლებია, რომ მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა მთელი წლის სამი მეოთხედის განმავლობაში თავს ირჩენს ძხოლოდ ნაყიდი პურით. მაგრამ მიუხედავად იქაური ნიადაგის ხასიათისა, მიუხედავად იმისა, რომ იქ მუდმივი პურის მოუსაველობაა, ადგილობრივი მცხოვრებნი მაინც ჩუტად განაგრძობენ პურის თესვას და არა ფიქრობენ მეურნეობის სხვა დარგის შემოღებას. ამავე დროს ხსენებულ მაზრის ფერდობიან ადგილებზე, ნათესი მიწები მუდამ ჭარბად იძლევა პურის მოსავალს. მაგრამ ამ რაიონში მცხოვრები გლეხები, მესაქონლეობას მისდევენ, და მთელი მინდვრების თითქმის ნახევარს საიალახედა სტოვებენ და ამ რიგად აცდენენ პურის მოსავლის გაფართოებისათვის საჭირო საუკეთესო ადგილებს. ჩვენი მეურნეობის ნიადაგთან შეუფარდებლობისა და მცხოვრებთა დაუდევრობის ასეთს დამახასიათებელი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

ამნიარად სოფლის მეურნეობის ხაყოფიერებისა და შემოსავლიანობის გაფართოვება და აგრედვე მიწადმოქმედ მცხოვრებთა ეკონომიურად უზრუნველყოფა და თვით სახელმწიფოს ეკონომიური სიმძლავრეც დამოკიდებულია მცხოვრებთა მოქმედებასა და აქტივობაზედ და რაც უფრო ეს უკაბასკენლნი მალე დასტოვებენ ამ მეურნეობის დამლუპველ ძველ, ტრადიციულ ჩვეულებებს, რაც უფრო მალე შეიგნებენ მეურნეობის ნიადაგთან შეთვისების აუცილებლობას, იმდენად მალე შეიძლება მიღწევა აგრიკულტურის მაღალ შემოსავლიან საშუალებებისა და მამსადამე ეკონომიური კეთილდღეობასაც.

ამ შემთხვევაში საბჭოთა მთავრობის აგრარული პოლიტიკა, რომელიც ფართოდ დახმარებას უწევს და აკმაყოფილებს ქვეყნის სასოფლო მეურნეობის ყველა მოთხოვნილებას იძლევა იმის სრულ გარანტიას, რომ ამ მოკლე ხანში ქვეყნის სასოფლო მეურნეობის ტენიკა საფესებით შეიცვლება და იგი ასწევს სახელმწიფო ეკონომიური შემოქმედების ნაყოფიერებას.

გარდა ზემოხსენებულ ზოგადი მიზეზებისა საქართველოს სასოფლო მეურნეობის დაქვეითებას აქვს აგრედვე განსაკუთრებული ხასიათის მიზეზები. ამ უკანასკნელ წლებში ზოგიერთი ადგილების მც-

ხოვრებნი ძლიერს სწივიან პურის მცირე მოსავლიანობას, რომელიც ბოლოს სრულ მოუსავლობამდე აღწევს.

ერთ-ერთ ასეთ განსაკუთრებულ მიზეზთაგანი არის ადგილობრივი ბუნების ატმოსფერული მოვლენით გამოწვეული პირობები, როგორც მაგალითად გვალვა დაცემულ ადგილებში. ხოლო მთიან და ფერდობიან ნიადაგზე ძლიერი წვიმები, რომლებიც თითქმის მთელის განუხეხლობითა და ზაფხულის თვალსაჩინო ნაწილის განმავლობაში განუწყვეტელი ნიაღვრებითა რეცხს და ანადგურებს მთის დასწვრივ მდებარე მინდვრებსა და ნახ ნაგებს. ასეთ ნიაღვრის სისტემატიურად სცვლის სეტყვა და ეს ბუნების მრისხანე მოვლენანი ყოველწლიურად ნაქვედ და ანადგურებენ ხალხის მძიმე შრომის ნაყოფს, ეს მოვლენანი, რომლებსაც ძლიერ ხშირად ხალხის საერთო უბედურების ხასიათი აქვთ, მით უფრო საგრძობნი არიან, რომ მათგან მიყენებული ზარალი ხალხისათვის გაუთვალისწინებელი და გამოუსწორებელიც, რადგან მცხოვრებნი მათის მეოხებით მთელი წლობითა ჰკარგავენ მათვის აუცილებელ საზრდოსა და საქონლის საკვებს. ეს ითქმის განსაკუთრებით სეტყვის შესახებ, რომელსაც თანა სდევს არა მარტო შიმშილობა, არამედ საქონლის დაღუპვა, ურომლისოდაც შეუძლებელი ხდება განადგურებული მეურნეობის აღდგენა. მოუსავლობის მიზეზად ითვლება აგრედვე კალია, მინდვრის თაგვი, გრივალი და სხვა.

მაგრამ ყველა ამის მიუხედავად, საქართველო სასოფლო მეურნეობის ეკონომიური სიღარიბისა და დაქვეითების მიზეზი უნდა ვეძებოთ თვითონ ნიადაგში. სამუშაო ნიადაგი, ისეთ შთაგონებულ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, ძლიერ სხვა და სხვა გვარი ხასიათისაა, დანამდილებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეს, ყოველ ბუნქს თავისი ხასიათის ნიადაგი აქვს. როგორც ვიცით ნიადაგი ყოველთვის გამოხატველია სასოფლო-მეურნეობის ხასიათისა, მიუხედავად ამისა, საქართველოს სასოფლო მეურნეობა სრულყოფით ანგარიშს არ უწევს ამას, ქართველი გლეხები წინდაუხედავად სთესენ პურს ისეთ მინდვრებში, რომლებიც სრულიად უფარგისა. ხსენებულ ნიადაგი, რომლის ექსპლოატაცია სწარმოებს ათეულ და ასეულ წლობით, გამოფიტული, მას გადაცლილი აქვს ნოყიერი გარსი და მაშასადამე მას არ შეუძლიან შესაფერისი ნაყოფის გამოღება.

მეორეს მხრივ ადგილობრივი მეურნეობა მტკიცედ მისდევს საუკუნოებრივ რუტინას, რომელიც არა ზრუნავს მიწის განოყიერებისათვის თუნდ ისეთის საშუალებითაც კი, რომელიც ხელშისაწვდომია ყველა საქონლის მყოფ გლეხისათვის. (რა თქმა უნდა, ლაპარაკი მტკიცე მინერალურ განოყიერებაზე, თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში გლეხური მეურნეობის ნიადაგი მხოლოდ ნაყოფს იძლევა და საშავიეროდ იგი არაფერს იღებს უკან. გარდა ამისა, ადგილობრივი მეურნეობა, სულ უმ-

ნიშვნელო გამოწვევის გარდა არ მისდევს ნაყოფიერების გამოცვლის კულტურას: წლიური წვიმების ერთსა და იმავე მიწაზე ითესება ერთი და იგივე თესლი. ამიტომ განსაკვირველი არ არის, რომ თითქმის ყოველ წლიურად თავს იჩენს მოუსავლობა სახელმწიფოს ამა თუ იმ კუთხეში; და ოფლის მდგრადი გლეხი არა მარტო თვითონა რჩება მშვიდრი, არამედ მას საქონლის საკვები ჩაღაც კი არ მოსდის. საქართველოში არის მრავალი ადგილი, სადაც მცხოვრებლებს მოსავლიან წელსაც კი საშუალება არა აქვთ, მთელი წლის სარჩო დააგროვონ და განსაზღვრული პროცენტი მუდამ მშვიდრი რჩება. ეს შიმშილობა არ არის მხოლოდ მიწის სიმცირით გამოწვეული, არამედ დაბალი სამეურნეო კულტურით მაშინ, როდესაც მეურნეობის ძალიანი კულტურა ხსენებულ ადგილებიდან მშრომელს გაცილებით მეტ მოსავალს მისცემდა.

რომ აღარ შეგვირდეთ მთელ რიგ მიზეზებზე, რომლებიც ასეთივე მნიშვნელობისანი არიან, სახელმწიფოს ეკონომიურ მდგომარეობისათვის შეიძლება მოკლედ ითქვას, რომ საქართველოს სასოფლო მეურნეობის ძლიერ დაბალი დონის კულტურა არის იმისი მიზეზი, რომ სახალხო მეურნეობა ფრიად ჩაპოჩენილი და განუფართოებელი ორგანიზმია სახელმწიფოს მეურნეობაში.

საქართველოს საბჭოთა მთავრობის დაწყებულ მოღვაწეობის მეორე ნახევარი, მდგომარეობს იმაში, რომ ახმადლოს ამ მეურნეობის კულტურა, შთაბეროს მას ახალი ძალა და ენერჯია, ჩამოაყალიბოს საქართველოს მეურნეობის სისტემა ისე, რომ მას მისცეს ნამდვილი ინდუსტრიული მნიშვნელობა. აქ თავს იჩენენ განსაკუთრებული დაბრკოლებანი, რადგან მუშაობის ეს ნაწილი დაკავშირებულია სახელმწიფოს სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგების შექმნასა და აღორძინებასთან.

ინტენსიური სოფლის მეურნეობა უპირველეს ყოვლისა მოითხოვს სამეურნეო იარაღებითა და მანქანებით დაკმაყოფილებას.

მათი შექმნა და შესყიდვა საზღვარგარედ ყოველთვის არ შესაძლებელი და არც ხელსაყრელია. საჭიროა ჩვენში შეიქმნას მათი საკუთარი წარმოება, რომ მათი ექსპლოატაცია უფრო მეტად სასარგებლო იყოს. ამავე დროს სასოფლო მეურნეობის მანქანების წარმოების ტენიკის აწინდელი მდგომარეობა ისეთია, რომ დაკმაყოფილება რაიმე შინამრეწველური ნაწარმებით არ შეიძლება საჭიროა დაარსება ფაბრიკა ქარხნებისა, რომელთა ორგანიზაცია სახელმწიფოს არ შეუძლიან ეხლანდელ მდგომა რეობაში. მიუხედავად ამისა, მათი წარმოება აუცილებელია, რადგან ტენიკა ძლიერის სისწრაფით მიეჭანება წინ. მასიურ მაშტაბით მოწყობილი წარმოება გუთნებისა, კვებებისა, ტრაქტორებისა და სხვ. ერთბაშად ფეხზე დაყენებს და არა ჩვეულებრივ სიმძლავრეზე აიყვანს ჩვენს მეურნეობას, ხოლო ამისათვის ზრუნვა თავს უნდა იღოს მხოლოდ სახელმწიფომ ვინაიდან კერძო პირთ სულ არ შესწევთ. ამი-

სათვის ძალღონე. საქართველოს ელექტროფიკაცია, რომელიც საბჭოთა მთავრობას დასახული აქვს თავის უახლოეს და უბირველეს მიზნად, აღადგენს და აამაღლებს მეურნეობის კულტურას და გამოიწვევს სასოფლო მეურნეობის ფართო განვითარებას. შედეგი უფრო მნიშვნელოვანი იქნება თუ ეს ელექტროფიკაცია მოხდება იმ დროს, როცა წარმოებას დაიწყებს სასოფლო მეურნეობის ტექნიკა.

უკანასკნელ ხანს მომხდარ გამოკვლევის მიხედვით. საქართველოს თეთრ ნახშირს შეუძლიან მოგვეცეს ცხრაას ათასი ცენტის ძალა. თუ სახელმწიფოს სხვა და სხვა პუნქტებში დადგმულ მძლავრ-საელექტრონო სადგურებს შეუძლიან მოგვეცენ ისეთი ენერჯია, რომელიც არა თუ საქარისთა საქართველოს ნორჩი მეურნეობისათვის, არამედ მოსჭარბდება კიდევ, აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ იგი, რასაც პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სასოფლო მეურნეობის ფეხზე წამოსაყენებლად.

ამ შემთხვევაში საქართველო, როგორც მთავარიანი ქვეყანა განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში იმყოფება: მძლავრი ჩანჩქერები და სხვა ელექტრო-ძალის მქონე ფაქტორები სწრაფად გამოიყვანენ მას ეკონომიურად ჩამორჩენის ჩიხიდან და დააყენებენ ფართო აგრი-კულტურული ტენიკის გზაზე. ამ უმად, ამიერ კავკასიის ეკონომიურ თათბირის დადგენილების თანახმად, დაჩქარებითი მუშაობა სწარმოებს საქართველოში ელექტროფიკაციის განსახორციელებლად.

ამის მიხედვით, სულ ახლო მომავალში შეესაძლებელი ვახდება ელექტრონის ენერჯიის მოწოდება არა მარტო ინდუსტრიალური მრეწველობისათვის, არამედ სასოფლო მეურნეობისათვისაც.

როგორი შედეგი მოჰყვება ამ ელექტროფიკაციას, ჩვენთვის ადვილი ვასაგები იქნება თუ წარმოვიდგეთ საზღვარ გარეთის რეზულტატებს, მაგალითად, შვეიცარიისა და განსაკუთრებით შვეიცარიისას, სადაც მინდვრების მთელი მესამედი მუშავდება და აგრეთვე მთელი სამეურნეო მუშაობა სრულდება ელექტროფიკაციის საშუალებით, რაც შესაძლებელსა ჰხდის ათეული და ათასეული მუშა ხელი განთავისუფლოს მძიე შრომისაგან. იქ მთავარი საზრუნავი საგანი ელექტრონის ენერჯიის მოწესრიგებაა, და სამეურნეო საქონელი სრულია თავისუფალია. ელექტრონის საშუალებით სწარმოებს თვით ისეთი მუშაობაც კი, როგორც ძროხების მოწველაა.

კიდევ უფრო თვალსაჩინოა უკანასკნელი ცდა, ელექტრო-გუთნის შემოღება რუსეთში. ეს გუთანი აშენებულია მხოლოდ საბჭოთა რუსეთის ტენიკური ძალების საშუალებით. პეტერბურგის მახლობლად, ამ გუთანმა, პირველსავე გამოცდის დროს საათში ოცი დესეტინა მიწა მოხნა.

ამ უმად მთელს რუსეთში ინტენსიური მუშაობა სწარმოებს მთელი მეურნეობის ელექტროფი-


კაციისათვის. იქ მრავალ ადგილას გლეხები უკვე ხნავენ, სთიბავენ, მკიან და ლეწავენ, რუსეთის ენერჯიის საშუალებით, მიუხედავად ამისა რუსეთში შედარებით უფრო ნაკლები ელექტრო-ენერჯიის წყაროებია, ვიდრე საქართველოში, რომელსაც ხელს უწყობს თვით ბუნებრივი პირობები.

მეურნეობის ინტენსიურ წარმოებისათვის ასეთ-სავე მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს საქართველოს საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებული ზომები ქვეყნის მელიორაციისათვის, ე. ი. მთელი მინდვრების სარწყავი არხებით დასაქსელავად და ჭაობიან ადგილების ამოსაშრობად. ამ საშუალებით საქართველოს სასოფლო მეურნეობის განკარგულებაში გადავა მრავალ ათასეული დესეტინა მიწა, რომელიც წინად სავსებით უსარგებლოდ იყო მიტოვებული.

ამ გვარად საქართველოს გლეხობა მიიღებს არა მარტო იმ მიწებს, რომლებიც ჩამოერთვათ ძველ მემამულეთ, არამედ მათ ხელში გადავა სრულიად ახალი და ჭარბო ადგილები, რომლებიც წინად მათთვის გამოუსადეგარი იყო.

თქმა არ უნდა, რომ გლეხები, რომელთა საკითილდღეოდა და სასარგებლოთაც მიმართულია მთელი ეს ზომები, თავის მხრით სიამოვნებით შეეგებებიან და მიიღებენ ყველა იმ მოთხოვნებს, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელია და თვითონვე შეძლებისდაგვარად შეეცდებიან, რომ დაჩქარებით შეითვისონ მიწად-მოქმედების ახალი მეტოდები და საშუალებანი და მიატოვონ მეურნეობის მამა-პაპური ჩვეულებანი—მით უმეტეს, რომ სახელმწიფო მათს განკარგულებაში აძლევს სპეციალისტ აგრონომებისა, მიწის მუომელთა და სხ. მთელ კადრს. მთელი რიგი დეკრეტებით, გამოცხადებულია ასეთი პირების მობილიზაცია, რომელთაც ვალად ედებათ მთელი შრომა და ცოდნა მოახმარონ ქვეყნის აგრი-კულტურის ამაღლებასა და განაცოფიერებას.

მცირე და საშუალო მიწის მქონეთათვის ძნელია მეურნეობის კულტურის გაფართოვება და გაუმჯობესება. მეურნეობის ინტენსიფიკაცია ისეთი ხასიათისაა, რომ იგი საშუალებას არ იძლევა ასეთი კულტურის მცირე მაშტაბით წარმოებისას. მაგალითად—შეუძლებელია ერთს, ან ორ დესეტინა მიწაზე ორთქლისა და ელექტრონის ქუთნის ამუშავება, ან სამკელი მანქანისა. ეს არ არის ხელსაყრელი, რადგანაც მათგან მოტანილი სარგებლობა ვერ დაჰფარავს გაწეულ ხარჯებს. სამაგიეროდ ასეთი მანქანების ამუშავებას მსხვილი მეურნეობის ფარგლებში უდიდესი სარგებლობის მოტანა შეუძლიან. ზოგიერთი ასეთი მანქანა ძლიერ ხშირად აუცილებლად თხოულობს მრავალ ათეულ დესეტინიან კულტურულ მიწას. იღებს რა მსუდველობაში აგრედვე ამ მოვლენას, დეკრეტი საშუალებას იძლევა წვრილ მეურნეთა ინტენსიური მოღვაწეობისას, რომელთაც შეუძლიან შეადგინონ კომუნა, ამხანაგობა, არტელი და სხვ. რათა გაერთიანებულის ძალა



ლონით აწარმოვონ ისეთი სამუშაო, რომელიც თვი-
თველ მათგანს ცალკე არ შეუძლიან.

შიშის წორმების გამოკვევის შემდეგ, საად-
გილ-მამულო კომიტეტები მცხოვრებთ შინადაღებას
აძლევენ შეერთდნენ მეურნეობის წარმოების წია-
დაგზე და შეადგინონ კომუნა, ჯგუფი, ამხანაგობა
და სხვ., რომელთაც მთავრობა თავის მხრივ დახ-
მარებას აღმოუჩენს, (იხ. წესები, მუხ. 41) ამ მიზ-
ნით ინიშნება აგრედვე განსაკუთრებული ინსტრუქ-
ტორი, რომელსაც ევალება ამ საქმის ორგანიზაცია.

დეკრეტის ძალით კომუნებს, ამხანაგობათ, არ-
ტელებსა და სხვა, ორგანიზაციებს რიგს გარეშე ეძ-
ლევათ კულტურულად დამუშავებული მიწები,
(პლანტაციები, ბაღები, და სხვ.) მხოლოდ იმ შემ-
თხვევაში, თუ კოლექტივი შესდგება, ადგილობრივ
ან შირეულ უმიწაწყლო და მცირე შიშის მქონე
მშრომელთაგან.

კოლექტიურ ამხანაგობებში შესვლა შეუძლიანთ
კულტურულ მამულების მებატონეთ ოჯახის იმ
წევრებით, რომელთაც მუშაობის უნარი აქვთ. წევ-
რად მიიღებიან აგრედვე სხვა ადგილს მცხოვრები
პირნიც, იმ შემთხვევაში, თუ ეს პირნი აუცილებ-
ლად სასარგებლონი არიან ამა თუ იმ კოლექტი-
ურ ამხანაგობისათვის.

კოლექტიურ ამხანაგობათა ხელის შეწყობითა
და წახალისებით საბჭოთა მთავრობას მიზნადა აქვს
დასახული ერთის მხრით გაათართოვოს მიწისმფლო-
ბელთა ჯგუფები და მეორეს მხრით გადაიდოს მეურ-
ნეობის ნაყოფიერება. როგორც გამოცდილებამ
დაგვარწმუნა — კოლექტიური მეურნეობა უფრო
პროგრესიულია, ვიდრე კერძო. ამის საუკეთესო
მაგალითს წარმოადგენს რუსეთის კოლექტიური სა-
მეურნეო ამხანაგობანი, რომელთა რიცხვიც მთელს
რესპუბლიკაში დღითი-დღე იზრდება. ამ ხასიათის
მეურნეობის მიერ მიღწეულ რეზულტატებს თვალ-
საჩინოდ აჩვენებდნენ იქ გამართულ სამეურნეო გა-
მოფენაზე, სადაც ავტორიტეტულმა ექსპონატებმა
ასეთი მეურნეობა აღიარეს სარგებლონიობის აუცი-
ლებელ და საუკეთესო თავდებად.

სასოფლო მეურნეობის საქმის განსავითარებ-
ლად სახელმწიფომ თვითონ უნდა მოაწყოს საჩვე-
ნებელი მინდვრები, ფერმები, სადგურები და სხვა,
სადაც მეურნეობა უნდა სწარმოებდეს სამეურნეო
ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ეს სა-
ნიმუშო მეურნეობა უნდა გახდეს მცხოვრებთა მი-
ბაძვის საშუალებად.

ამ მიზნით, (დეკრეტის მე 7 მუხ.) მსხვილი
კულტურული მეურნეობის მიწის ნაჭრები, ვენახე-
ბი, ბაღები, პლანტაციები, ორანჟერეები და სხვ.
არ დანაწილდება და გადავა სახელმწიფოს ხელში,
ან რჩება პირდაპირ სახალხო სანიმუშო კულტურ-
ულ მეურნეობის საწარმოებლად.

იმ მაზრებში, სადაც ასეთი მამულები არ არის,
მოთხოვნის თანახმად გადაიდება საკმაო რაოდ-
ენობის მიწა, ერთი ან რამოდენიმე დარგის სანი-
მუშო მეურნეობის დასაწყებად. (წესები მუხ. 38)


გარდა ყველა ამისა, სახელმწიფო ზრუნავს რა სა-
სოფლო მეურნეობის შეგნების გაგრცელებას
იგი აარსებს სხვა და სხვა სამეურნეო კვლევებს
შეზავნის სპეციალისტ ინსტრუქტორებსა და სა-
მეურნეო მატარებლებს, რომელთა დანიშნულება
არის პროპაგანდა და მეურნეობის პოპულარიზა-
ცია — გლეხობის შორის.

ამ მხრივ ძლიერ ბევრი გააკეთა რუსეთის საბ-
ჭოთა მთავრობამ, მისი მეოხებით ამ მოკლე ხნის
განმავლობაში დაარსდა 470 სამეურნეო სასწავ-
ლებელი, რომელთა შორის 74 არის უმაღლესი
სასწავლებელი, გახსნილია მრავალი სრულიად ახა-
ლი ტიპის სკოლა, რომელთა მსგავსიც ჯერ არა
ყოფილა სახელმწიფოში. აღარაფერს ვიტყვი იმ
ინსტრუქტორთა არმიასა და სამეურნეო მატარებ-
ლების შესახებ, რომლებითაც მოაფინა მთელი
ქვეყნის მიწაწყალი. სახელმწიფომ ხელში აიღო
სამეურნეო განვითარების გაგრცელების საქმე
და მზრუნველობა მის ჩასანერგავად ხალხის ფა-
რთო მასებსში. მრავალ სპეციალურ მოვლენათა
წყალობით, საქართველო უკან ჩამორჩა ამ მხრივ,
მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო მთელი
რიგი აუცილებელ ზომებისა ამ დარგში. რადგან
საქართველოში მიწა არ არის კერძო საკუთრების
ობიექტი, არამედ მისი სარგებლობა შეიძლება მხო-
ლოდ დროებით, ამიტომ, ამ სარგებლობის უფლე-
ბის დაკარგვა შეიძლება მისი დროებით მფლო-
ბელის სიკვდილის უმაღლე. ეს უფლება იკა-
რგება აგრედვე იმ შემთხვევაში, თუ ამის სურ-
ვილს თვითონ გამოსთქვამს მისი დროებითი მო-
სარგებლე და აგრედვე სასამართლოს დადგენილე-
ბით. ის მიწები, რომელთა სარგებლობის უფლება
უკვე დაიკარგება — გადადის სახელმწიფოს სათადა-
რიგო ფონდში, რის შემდეგაც მათი მიღების უფ-
ლება ეძლევათ უფლების დამკარგავის ახლო მო-
ნათესავეთ ან იმ პირებს, რომლებთაც დაასახე-
ლებს თვითონ უფლების დამკარგავი. (წესები,
მუხ. 45).

იმ შემთხვევაში, თუ მიწით მოსარგებლე თა-
ვისი სურვილით, ან იძულებით ხელს აიღებს
თავის უფლებაზე, მაშინ მას უნდა აუნაზღაურდეს
მიწაზე გაწეულ შრომის საფასური. ხოლო სხვა
საშუალება მიწის სარგებლობაზე ხელის აღე-
ბისა, ე. ი. იჯარით გაცემა, გაყიდვა და სხვა
აკრძალულია.

ამ რიგად დეკრეტი სპობს მიწით კომერციის
საშუალებას, ხოლო მისით მოსარგებლეს ნებას აძ-
ლევს ანდერძით გადასცეს სარგებლობის უფლება
თავის მახლობელ პირს, ან ამ უფლებაზე უარის
თქმის შემთხვევაში, მას უნაზღაურებს გაწეულ
კულტურულ შრომის ფასს (იხ. წესები, მუხ. 46).

აგარაული საკითხი, მიწის სიმცირისა, მცხოვ-
რებთა ეკონომიურ ხელმოკლეობისა და აგრედვე
სასოფლო მეურნეობის ექსტენსივობის გამო, შე-
დამ მწვავე და მტკივნეული საკითხი იყო და



ხალხის ბედ-იღბალი დამოკიდებული იყო მის გა-
დაქარაზებ.

მაგრამ იგი უკანასკნელ ხანამდე გადაუქრელი
იყო და გლეხობის სხვა, მწვავე საკითხებთან ერთ-
თად ჰაერში ეკიდა მშრომელთა გაქორციელების სცი-
ლასა და შემამულეთა წოდების ხარობდას შუა.

მხოლოდ იმის შემდეგ, რაც საქართველოს
საბჭოთა მთავრობამ გლეხობას გადასცა ძველ მე-
მამულეთა მიწები და მეურნეობის ხასიათი გაასა-
დავა მით, რომ ეს ძალიან სახელმწიფოებრივი
მნიშვნელობის დარგი ყველა მშრომელის საკუთარ
საქმედ გამოაცხადა, და იგი დააყენა ფართე ინ-
დუსტრიალიზაციის რელსებზე, — საქართველოში აგ-
რარული საკითხი მოიხსნა. ყოველ შემთხვევაში
მოიხსნა იმ სახით მაინც, რა სახითაც იგი წინათ
იყო დასმული.

აგრარული ურთიერთობის ახალ ფორმების
მოხანია სასოფლო მეურნეობა აიყვანოს იმ ინტენ-
სივობამდე, რომ მან დახარჯულ ხალხის შრომის
შინამომზე მისცეს ნაყოფის მაქსიმუმი.

და იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა მთავრობის
მიერ იმ პირობების შექმნის შემდეგ, რომელთა
საშუალებითაც უნდა შესაძლოებამდე ამაღლდეს და
გაფართოვდეს საქართველოს აგრარულ ტურა, კვლავ
დაისმის აგრარული საკითხი, ეს იქნება მხოლოდ
იმ მიზნით, რომ უფრო გაღრმავდეს და გამძლე-
რდეს ჩვენი მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია და
ინტენსიფიკაცია.

ლ. სარაჯიშვილი.


უკლავარი მეურნეობისათვის.

გამოცხადდა თუ არა საქართველოში, საბჭო-
თა ხელის უფლება, სასოფლო მეურნეობისა და მი-
წათ მოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. ფილიპე
მახარაძემ თავის პირველ დეკრეტში განაცხადა:
„ყველაფერი მეურნეობისათვის“. ამ დიდებულმა
ისტორიულმა ლოზუნგმა მე ძველი მეურნე აღმა-
ფრთოვანა, გადამახალისა. ოღონდაც რომ დრო
არის ომისა და ომის მიერ გამოწვეულმა უბედუ-
რებით აწიოკებულ-განადგურებულმა გლეხკაცობამ
თავისუფლად ამოისუნთქოს და ის კვლავ დაუბრუნ-
დეს თავის გუთანსა და ნამგალს. მე დარწმუნე-
ბული ვარ, რომ სოციალისტური პარტია ომს ომის
საწინააღმდეგოთ, ომის მოასპობათ უნდა აწა-
მოებდეს და არა სხვა რაიმე მიზნით. ძირს ომი!
გაუშარჯოს კაცთა-შორის მოყვარესა და სათნოე-
ბას, ფართო ასპარეზი პატიოსან შრომას, ბუნების
წილის დამუშავებას. ყველა მოქალაქე თავის ბუ-
ნებით მახინჯ-აფათმყოფი არ არის, თავისი ოფლით
განბანილ ალალ ლუქმას უნდა სჭაპდეს. ვისაც
ქამა უნდა შრომაც არ უნდა ეთაკილებოდეს. აშ-
კარათ ვიტყვი რომ კომუნისტურმა ხელის უფლე-
ბამ კაცობრიობას ამით დიდი დეაწლი დასდო,
შრომა გახდა სავალდებულო და სასახლო. დღეს
ყველა წოდებისა და კლასის წარმომადგენელი პი-

რად შრომას ეწევა, თოხით მუშაობს და არავის
ძველებურად აღარ ეთაკილება, პირიქით, მანამდე
ყოფს და თავმოაწონეთ გაიმახნის: წელს მამულეობის
თი კირნახული ჩემი ხელით მოწვეული მოვიშარავეო.
რაკი ხალხი ასე დაეწაფა შრომას, მთავრობაც ვალ-
დებულთა თავის მიერ ერთხელ განცხადებული
ლოზუნგი — ყველაფერი მეურნეობისათვის, განა-
ხორციელოს — ჩონჩხს სული მთავროს. ამისა-
თვის კი საქროთა უმაღლესი მთავრობის ბრძანებას
პროვინციაც ემორჩილებოდეს და იქსაც ისე
ესმოდეს, როგორც ესმის მთავრობის ხელმძღვა-
ნელს. სამწუხაროთ ეს ასე არ ხდება.

ჩვენი ქვეყანა გლეხური კუთხეა, გლეხი მე-
ურნე, კერძო საკუთრების მოტრფიალეა და მის-
თვის ის მთავრობაა კარგი და სანუკვარი, რომე-
ლიც მას ცხოვრებას გაუადვილებს, შესძენს და
არას მოაკლებს. კომუნისტურმა მთავრობამ გლე-
ხებს მიწა მისცა, მაგრამ ეს არ კმარა, არამედ სა-
ქროთა გლეხობას მიწის მოხმარა, მისი იოლი და-
მუშავება და მეტი შემოსავლის მიღება ვასწავლოთ.
ჩვენი ქვეყნის კუთხეები ხან ერთი და ხან მეორე
სისტემატიურათ მშვიდდება, ამისი ძირითადი მიზე-
ზი კი ის არის, რომ ჩვენი ქვეყნის ჰავას არ ვაკვირდ-
ებით, არ ვიკვლევთ და თუ ვიკვლევთ შვედგით არ
ვსარგებლობთ. უტყუარი ფაქტი კი ის არის რომ
ამ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ჩვენი
ბურჟუაზია ჩრდილოეთის ბუნებისკენ მიისწრაფვის,
ზამთარიც ისევე აღრე იწყება, როგორც რუსეთში,
ამისათვის სიმინდმა რომ დამწიფება მოასწროს
აღრე აპრილსა და მაისის 15-მდე მაინც უნდა
დაითესოს, მაგრამ ამას ანგარიშს არ ვუწევთ და
აკი შედეგი კიდევ ვიწვინეთ. წელს გურიის ნახე-
ვარი დამშვიდა, დამშვიდა სწორეთ ის კუთხე
(ლანჩხუთისა და ნიგოთის მიდამოები), რომელიც
ნახევარი გურიისა და ქვემო იმერეთის ძუძუ იყო.
დამშვიდა იმიტომ რომ აღრე გაზაფხულზე ყანები
არ დაითესა, იენისის ნათესს კი სიცივემ უსწრო
და დამწიფება ვერ მოასწრო.

ვიმეორებ მილიონჯერ ნათქვამს, რომ ჩვენი ქვეყა-
ნა მეურნეობის ქვეყანაა, ყველაფერი უხვათ იხეირებს
მხოლოდ გვაკლია ცოდნა და გარჯილობა. ყველა
ჩვენთაგანი ეძებს იოლ საშოვარს, ყველას უნდა
ერთ ორ თვეში გამდიდრდეს და ამისთვის ეძებს
ავანტიურისტულ საქმეებს. დროა, დროა დავგმოდ
ძველი გზა და ახალ ცხოვრებას ახალი ლოზუნ-
გებით შევხედოთ — ყველაფერი მეურნეობისათვის,
ამის გარშემო უნდა შემოკრბეს ყველა. მეურნეო-
ბის აღორძინება კი ნასწავლი მეურნეების საქმეა,
მაშასადამე მეურნეებს ნდობა უნდა გამოუცხადოთ,
ყველაფერში შეიძლება პარტიული ჯინი ვეძებოთ,
მაგრამ თვის ბოლოკი რა პარტიის კაცმაც უნდა
დათესოს მაინც თვის ბოლოკი ამოვა და არა სტა-
ფილო. ეს ასეა მაგრამ ზოგიერთ სოფლის რევოლ-
მებს სამწუხაროთ ჯერჯერობით ეს ასე არ ესმით.
ხშირად სოფლისა თუ სამაზრო რევკომები არ
უწევენ ანგარიშს საქმის კაცებს. მიწათ მოქმედ-



ბის კოლეგიაში სხედან რაციონალური მეურნეობის სრულიად არ მკოდნენი, რომლებიც ძლიერ ხშირად ნამდვილ მეურნეებს პირდაპირი მოვალეობის ასრულების დროს არამც თუ ესმარებიან პირიქით ხელს უშლიან. ამისი ფაქტები ხელთ გვაქვს. დრო კია ნასწავლ მეურნეებს მუშაობის ფართო ასპარეზი დაეთმოთ.

კომუნისტურ რუსეთში ჩვენ ვიცით ასობით სობით დაბეჭდეს და გაავრცელეს სამეურნეო წიგნებ-წიგნაკები. გულდასმით ვკითხულობ მოსკოვის გაზეთ „ბედნოტას“, რომლის შინაარსის ნახევარი სულ სამეურნეო წერილებია, ცნობილი აგრონომების. დავიჯეროთ ყველა ეს აგრონომები კომუნისტებია—არა, აგრონომებს არ აქვთ დრო პარტიის ნამდვილი წევრები იყვნენ, ჩვენში კი ეს აგერ ათი თვეა რაც საბჭოთა მთავრობაა და ჯერ ერთი სამეურნეო წიგნიც არ გამოცემულა, დღიურ გაზეთებში ხომ კრინტიც არ ისმის მეურნეობის შესახებ. გამოდის მხოლოდ ორ კვირეული ეურნალი „სოფლის მეურნე“, მაგრამ სამწუხაროთ ამ ეურნალს არ აქვს სახალხო მიმართულება, შიგ ვერ ეპოულობთ ჩვენში ცნობილი აგრონომებისა და საზოგადოდ მეურნეობის მკოდნეების მხატრულ წერილებს. ცხადია არაარაობას ეგეტც სჯობს, მაგრამ სამწუხაროთ არც ეს ვრცელდება სოფლად. მე მახსოვს ქუთათური „სასოფლო გაზეთი“. მაშინდელი გუბერნატორი ყველა სოფლის სამმართველოებს უწერდა, ხალხიც მოკლესა და სახალხო წერილებს ძლიერ ეტანებოდა.

რა იქნენ ამ ცოცხალი მართლა და სასოფლო გაზეთის თანამშრომელი? სად არიან? „სოფლის მეურნე“-მაც უნდა მოსძებნოს ყველანი და გარს

შემოიკრიბოს, მეურნეებსაც ხალხის სიყვარული უკარნახებს თავიანთი ცოდნა-გამოცდილებით. ხალხით გახადონ. დროა, დრო ყველამ უნდა მყუდრო ცხოვრებისათვის, ამისთვის ყველა უნდა შეეცადოს პარტიოსანი შრომით შესძლოს თავისით გამოკვება და სახელმწიფო მოთხოვნილების დაკმაყოფილება—სამსახური.

ძველი მეურნე.

სამაზრო და საქალაქო რევკომების მოვალეობების პრილქება.

ნოემბრის 21-ს საღამოს 6 საათზე სასახლის თეთრ დაბაზში გაიხსნა საქართველოს სამაზრო და საქალაქო რევკომების თავმჯდომარეების და მათ მოადგილეთა პირველი ყრილობა. ყრილობა ესწრება საქართველოს თითქმის ყოველი მაზრის და ქალაქის რევკომების თავმჯდომარეები. ყრილობა გახსნა საქ. რევკომის თავმჯდომარემ ამხ. ბუღუ მდივანმა, რომელიც მიესალმა ყრილობას რევკომის სახელით და განმარტა ყრილობის მიზანი. ამის შემდეგ ყრილობას ესალმებიან: შ. ელიავა—წითელი ლაშქრის სახელით, მამია ორაბელაშვილი—საქ. კომპარტიის სახელით, ოდილაძე—პროფკავშირების სახელით და სხვანი. უკვე მოსმენილ იქნა რამოდენიმე კომისარიატის მოხსენება მათი მოღვაწეობის შესახებ. ამის შემდეგ მოხსენებებს გააკეთებენ ადგილობრივი რევკომების წარმომადგენელი.

დაწვრილებითი ანგარიშები შემდეგ ნომრებში იქნება მოთავსებული.

მაზრის რევკომებში.

2. სიღნაღის მაზრა

ა. წ. 17—18 თებერვალში, ქ. სიღნაღში ადგილობრივი კომუნისტების მიერ შედგენილ იქნა რევკომი, სამაზრო რევკომის უფლებებით. რამდენიმე დღის განმავლობაში, მთელს მაზრაში დაარსებულ იქნა 25-დგ სოფლის რევკომი. (მაზრაში სულ 114 სოფელია) სანამ ცენტრიდან მიიღებდენ შესაფერ ინსტრუქციებს, დირექტივებს და სხვ. ახალი ხელისუფლების დამყარების დღიდან დაარსებული სამაზრო რევკომი ხელმძღვანელობას უწევდა ადგილობრივ რევკომებს. რასაკვირველია ვერც სიღნაღის მაზრა ასცდა სხვა მაზრაში არსებულ საერთო სენს; სახელდობრ: რევკომებში მოიკალოთეს ბევრმა არაკეთილსაიმედო პირებმა, ზოგმა თავისი წარსული, ბნელი მოღვაწეობით ზოგმაც აშკარად კრიმინალური თვისების მატარებელია, ზოგიც სრულიად მოუშაღებელი იყო და-

კისრებული მოვალეობის შესასრულებლად, როგორც შეუგნებელი, წერაკითხვის არა მკოდნე და სხ. ასეთ პირობებში ცხადია მუშაობა ვერ იწარმოებდა სასურველად და მაზრის რევკომმაც ამ გარემოებას მოაქცია ყურადღება. დაიწყო გაწმენდა ადგილობრივი რევკომებისა. ამ საქმის შესასრულებლად კომპარტიასთან შეთანხმებით დაარსებულ იქნა რამდენიმე საგანგებო სამეული რომლებსაც მიენდო სოფლის რევკომების ადგილობრივი პირობების გაცნობა, სათანადო დირექტივების მიცემა და სოფლის რევკომების შემადგენლობისა ვადასინჯვა-გაწმენდა. ამ სამეულების მუშაობა მაზრაში 1 მაისს დასრულდა და დიდი ნაყოფიც გამოიღო. როგორც კი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავდა საერთო წესი მაზრების და ხელქვეითი რაიონების რევკომისათვის, მაზრის რევკომმა მსწრაფლ მიიღო ზომები ამ დებულების თანახმად მაზრაში აღმინისტრაციული ერთეულების მოსაწ-

ყოზად. საგანგებო სამეულები გაუქმებულ იქნა და რაიონის და თემის რევეკომების შემადგენლობის მაგნე პირებისაგან გაწმენდა განაგრძო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა.

დღეს უკვე დასრულებულად შეიძლება ჩიითვალოს მაზრის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფა: მაზრაში არსებობდა სექტემბრამდე 45 სათემო რევეკომი, რაიონის კი-სამი. მაგრამ მაზრის რევეკომმა საჭიროდ და შესაძლებლად დაინახა სათემო რევეკომთა რიცხვი შემეცირებინა 23-დღე, რაც უკვე გატარებულია ცხოვრებაში.

თვით მაზრის რევეკომში არის შემდეგი გინყოფილება: 1) შინაგან საქმეთა სამმართველო, 2) იურიდიული, 3) ეკონომიური, 4) „უბროდკომი“, 5) კომუნალური, 6) სატრანსპორტო, 7) სოც. უზრუნველყოფის, 8) საადგილ-მამულო, 9) მუშათა და გლეხთა ინსპექციის, 10) ფინანსური, 11) განათლების, 12) ჯანმრთელობის და 13) შრომისა.

მაისში წარმოდგენილ მოხსენებიდან სჩანს, რომ რევეკომს მიუღია ყოველგვარი ზომა, რომ სიღნაღის მაზრის ერთი უმთავრესი სამეურნეო დარგი, მევენახეობა არ გამჭრალიყო. მან აღძრა შუამდგომლობა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა მაზრას დროზე მიეღო გოგირდი და შაბიამანი. როგორც მოხსენებიდან სჩანს, საჭირო ნივთიერება კომისარიატს გადაეცა „კავშირთა კავშირისათვის“, რომელიც შეუდგა მთელ მაზრაში გოგირდი და შაბიამანის დანაწილებას. ასე რომ მაზრის რევეკომს მის დარიგებაში უმეშვეოდ მონაწილეობა არ მიუღია. ღვინის მოსავალი მაზრაში ამტკიცებს რომ მას არ მოჰკლებია საჭირო რაოდენობა შაბიამანის და გოგირდის თუ მივიღებთ მხედველობაში, საერთო პირობებს დღევანდელ ცხოვრებისას.

რაც შეეხება მიწის მოხვნას და დათესვა მაზრა ამ მხრივ უკან ჩამორჩა წინა წლებს. ამის მიზეზი იყო საშინელი უამინდობა და შემდეგ, სამეურნეო იარაღის ნაკლებობა. მართალია ამ დარგში დიდი ენერგია გამოიჩინა და დახმარება გაუწია მაზრას დამთეს კომპანიამ, მაგრამ მან მაინც ვერ ამოსწურა სავსებით ყოველი შესაძლებლობა, თუმცა ამ მუშაობას სამაზრო რევეკომი რიგს ვარეშე აწარმოებდა.

სიღნაღის მაზრა მიმდინარე წელს, შედარებით სურსათის მხრივ ნაკლებოვანებას განიცდის ამის მიზეზი სხვათა შორის ის გაიქმნება იყო, რომ მაზრის ფარგლებში ბინადრობდა საბჭოთა ჯარი, რომლის მოთხოვნილების დაკმაყოფილება აღვილი საქმე არ იყო. ამის მიუხედავთ მაზრის რევეკომი ღებულობდა ყოველგვარ ღონისძიებას მიეწოდებია სურსათი ცენტრისა და საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურეთათვის. უნდა აღინიშნოს ისიც რომ ამ მუშაობას აბრკოლებს, შესრულებას უშლის უსახსრობა: იგი არ მოეპოვება აგრეთვე სასურსათო კომიტეტს. ამიტომ სურსათის

შეძენის საკითხი, შეჩერებული იყო მაზრის ფარგლებში. მაზრას აკლია მარილი, ნავთი და სხვა რევეკომ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად სანებები, რაც მძიმე პირობებში აყენებს მათს მზარდს.

სწავლა-განათლების მხრივ მაზრა ჩამორჩენილია. ამ საქმის ცოტად თუ ბევრად წინ წასაწევად, მაზრის რევეკომს განზიანება ჰქონდა მოეწყო საკვირაო კურსები და ზაფხულში მასწავლებელთა საერთო კურსები. მაზრა კულტურული დაწესებულებით ღარიბია და დიდი ენერგია საჭირო სწავლა განათლების სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად,


მალიან ცულ პირობებში იყო მაზრა ფოსტატელეგრაფის საქმე. მთელს მაზრაში შეიღი საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულება და ჩვეულებრივი მოქმედება მათი თითქმის ყველგან შეჩერებული იყო, გარდა სამხედრო და სამსახურის საჭიროებისა, უკანასკნელ შემთხვევაში დიდი დაბრკოლება ელოდება მოძრაობას, ვიღიდან ტელეგრაფის ქსელი სავსებით საჩხედრო ნაწილებს უკავიათ. ფოსტის გადაზიდვა თითქმის შეჩერებულია ტრანსპორტის მოუწყობლობის გამო. ეს კი გამოწვეულია სპეციალური თანხის უქონლობით.

მაზრაში მოწყობილია უსასყიდლო საქმიო დახმარება ღარიბ მცხოვრებთა მოსამახურეთათვის. უსასყიდლოთ სარგებლობენ წამლით, მაგრამ წამლების სიმცირის გამო რევეკომს არა აქვს საშუალება მოთხოვნილება დააკმაყოფილოს სავსებით. აფთიაქების ნაციონალიზაცია სავსებით გატარებულია მთელ მაზრაში.

მაზრის რევეკომმა ორჯერ მოაწყო სოფლის რევეკომთა თავმჯდომარეების ყრილობა ერთი თებერვლის დამლევს, მეორე 22 მაისს. 9 მაისს გაიმართა მიწის კომიტეტების წარმომადგენელთა კრება, 29 მაისს კი პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლებისა. უკანასკნელი ყრილობის საგანი იყო. გარდა წმინდა პროფესიონალური საკითხებისა, მუშა მოსამსახურეთა სურსათ საწოვავით დაკმაყოფილების საკითხების განხილვაც.

ავგისტოში წარმოდგენილი მოხსენება უფრო სრულ სურათს იძლევა მაზრის მდგომარეობის შესახებ. ეს აიხსნება სხვათა შორის იქითაც, რომ მაზრის რევეკომმა მეტი გამოცდილება შეიძინა მაისის შემდეგ.

მაზრაში სისხლის სამართლის ბასიათის დანაშაულობამ შესამჩნევად იკლო წინა თვეებთან შედარებით. უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, რომელსაც დიდი ზიანი მოჰქონდა მაზრისათვის და რომელსაც დიდი ყურადღება მიაქცია, როგორც მაზრის რევეკომმა, აგრეთვე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა. ეს გარემოება იქნენათ შინაური საკათხი არაა მას უფრო სახელმწიფოთა შორის ბასიათი ჰქონდა. მოსახლდრე სახელმწიფოდან (აზერბეიჯანიდან) გადმოდიოდენ ჯგუფები, დაეცემოდენ ზალმე სიღნაღის მაზრას და სწარმოებოა სიღნაღის სასტუმარითური გატაცება და ქურდობა.



ამ არასასურველ მოვლენების სალიკვიდაციოდ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობით შესდგა რამდენიმე შერეული კომისია, რომელმაც გამოიძევა ერთგვარი modus vivendi მოსაზღვრე ტერიტორიების მცხოვრებთა შორის ურთიერთობის გამოსარკვევად და მტაცებლობის სალიკვიდაციოდ. კომისიების მუშაობამ სასურველ შედეგს მიაღწია და რევეკომს იმედი აქვს, რომ შემდეგში ეს არ განმეორდება.

ამ მოხსენებაშივე აღნიშნული ის გარემოება თუ რამდენად საჭიროა მაზრისა და თვით რევეკომისათვის საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვეგანყოფილება, რომლის მოწყობა მაზრის რევეკომთან ვერ მოხერხდა აგვისტომდე, — როგორც ძალების უყოლობის, აგრეთვე უსახსრობის გამო. აგვისტოში კი დაარსდა იგი და დაინიშნა გაშვე. მართალია, როგორც ეს ქვეგანყოფილება, ისე სხვებიც ვერ არიან სავსებით დამაკმაყოფილებელი, რადგანაც ვერ ერთი რევეკომს ხელს უშლის უსახსრობა, რაც საერთო სენია მთელ ოვსუბლიკაში, მეორე — სიმცირე ინტელიგენტური, ძალებისა, წერაკითხვის მკოდნე პირებისა, რომლებიც თანამშრომლებათ გამოდგებიან ახალი წესწყობილებისათვის, მესამე ინვენტარის და საკანცელარო ნივთების უქონლობა და მეოთხე თვით მოსამსახურეთა ეკონომიური მდგომარეობაც.

რევეკომი სასტიკ ზომებს იღებდა და იღებს, რომ ალაგმოს თემების რევეკომების თვითნებობა. ძალიან ხშირი მოვლენაა მაზრაში, როგორც ცენტრის, ისე მაზრის რევეკომის განკარგულებათა, ბრძანებათა და სხ. შეუსრულებლობისა. ეს გარემოება აიხსნება ერთის მხრით იმით, რომ ადგილობრივ რევეკომებს არა აქვთ შეგნებული საჩქოთა სისტემის დედა აზრი, მეორეს მხრით ცოდნის ნაკლებობა ხელს უშლის დეკრეტისა და ბრძანებების შეთვისებას.

რევეკომმა მიიღო ზომები, სასწრაფოთ დაეარსებია მთელი მაზრისათვის „მშახის“ და იძულებითი სამუშაოთა ქვეგანყოფილება. აქაც, სიანს ძალების უყოლობა და სხ. საერთო პირობები. რევეკომი აღნიშნავს აგრეთვე, რომ თვით ცენტრალური აპარატი მაზრისა, არაა სასურველად მოწყობილი. ცხადია ასეთ პირობებში მაზრაში ბევრ არა ნორმალურ მოვლენას ექნებოდა ადგილი, რომელთანაც ბრძოლა მართო მაზრის რევეკომისათვის ვერ იქნებოდა დასაძლვეი, თუ მას არ მოეშველებოდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

(დასასრული იქნება)

პითხვა-პასუხი.

შეკითხვა 1. ხშირად ხდება, რომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი უგზავნის რევეკომებს მოწერილობას მიწების დაბრუნების, ან მიწის-

თან დაკავშირებული საკითხების შესახებ და ამ მოწერილობაში მითითებულია ხოლმე ან მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დღენიღობაზე ან და მიწის პოლიტიკის სავანგებო კომისიის გადაწყვეტილებაზე. რევეკომს ადგილობრივ წინელობება ხოლმე, ხშირად, ასეთი მოწერილობის სისრულეში მოყვანის დროს ადგილობრივი მიწის კომიტეტი და რევეკომს ესპობა საშუალება აასრულოს ბრძანება. როგორ უნდა მოიქცეს ასეთ შემთხვევაში რევეკომი და აქვს თუ არა უფლება ადგილობრივ მიწის კომიტეტს ხელი შეუშალოს რევეკომს ზევით დასახელებულ მოწერილობის სისრულეში მოყვანის დროს?

პასუხი 1. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ა. წ. 18 ივლისს (იხ. მოამბე № 12) გამოაცხადა, რომ კომისარიატი არ გარჩევს საჩივრებს მიწების (ნორმის, ვენახის, ბაღის, სათიბის და სხ.) შესახებ, რადგანაც ამ საკითხის გადაჭრა, სავსებით დამოკიდებულია მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი და მისი ორგანოებისაგან (ბრძანების § 2) და შ. ს. ს. კომისარიატს უნდა მიმართონ მცხოვრებლებმა მხოლოდ მაშინ, როცა სათანადო კომისარიატის ბრძანება არ იქნება ადგილობრივ შესრულებული ან იქნება დარღვეული. ეს იმიტომ რომ შ. ს. ს. კომისარიატმა აღმინისტრაციულის გზით აიძულოს ურჩი, სისრულეში მოიყვანოს სხვა; სათანადო კომისარიატის დადგენილება. (ბრძანება § 3, მოამბე № 12).

ამა წლის აგვისტოს, შ. ს. ს. კომისარიატმავე, მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატიდან შემოსული ცნობების გამო, გასცა ცირკულიარული ბრძანება, რომელშიც ხელმოგორედ კატეგორიულად იყო აღნიშნული, რომ მიწის პოლიტიკის გატარებაში ჩარევა რევეკომის, ან მილიციის, ხელს უშლის საქმის სათანადო მიმართულებას. ყოველგვარი განკარგულება მიწის შესახებ გაცემული იქნება მიწ. სახ. კომისარიატის და მისი ადგილობრივი ორგანოების მიერ; რევეკომები და მილიცია კი ვალდებული არიან მხოლოდ დახმარება გაუწიონ, თუ მიწათმოქმედების კომისარიატის ორგანოები ამას მოითხოვენ. (იხ. „მოამბე“ № 14, ცირკულიარი ნ აგვისტოდან).

რაც შეეხება კითხვაში აღნიშნული გარემოებას: რევეკომმა რა ქნას, თუ მაგალითად, მიწის კომიტეტი ადგილობრივი არ მისცემს საშუალებას მიწათმოქ. კომისარიატისა და სავანგებო კომიტეტის დადგენილების თანხმად შ. ს. ს. კომისარიატის მიერ გაგზავნილი მოწერილობა აასრულოს. უნდა განიხილოს რომ მიწის კომიტეტს ადგილობრივ, არა აქვს არავითარი უფლება შეაჩეროს, ხელი შეუშალოს, ან გააუქმოს ისეთი მოწერილობის სისრულეში მოყვანა, რომელიც გამოცემულია მაზე უფრო მაღლა მდგომი, სრულიად კომპეტენტიური ორგანოს მიერ. როცა შ. ს. ს. კომისარიატი მოწერილობაში აღნიშნავს, რომ ამა და ამ პირს უნდა დაუბრუნდეს მიწა, ან აღდგენილ იქნეს

უფლებებში და ამ მოწერილობაში აღნიშნულია, რომ ასეთი განკარგულება გაცემულია თანახმად მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატის დადგენილებებისა, დასკვნისა, ან გადაწყვეტილებისა, ეს იმას ნიშნავს, რომ შ. ს. ს. კომისარიატი გამოადის როგორც აღმინისტრაციული ორგანო, რომელსაც მიმართავენ დასახმარებლად, კანონიერი ბრძანების სისრულეში მოსაყვანად ზომების მისაღებად. ასეთ შემთხვევებში პასუხისმგებელი კანონის წინაშე იქნება ის ორგანო, რომლის დადგენილებების საფუძველზე ააგო თავის ბრძანება შ. ს. ს. კომისარიატმა და სისრულეში მოაყვანინა ადგილობრივ რევკომს. ადგილობრივმა რევკომმა კი, როცა მიუვა მას ასეთი მოწერილობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ამა და ამ „კომისარიატის (მაგ. მიწათ მოქმედებას) მიმართვის, დადგენილების და სხ. თანახმად, წინადადებას გაძღვეთ დაუყონებლივ მოიყვანოთ სისრულეში“ ეს და ეს, რევკომი ვალდებულია ვინც არ უნდა იყოს წინააღმდეგი, იგი სისრულეში მოიყვანოს. ხელის შემშლელი პირების წინააღმდეგ კი მიიღოს საჭირო ზომები.

შეიძლება დაეხადოს კითხვა რევკომს, იქნებ სახალხო კომისარიატი შეცდომაშია შეყვანილი, თორემ რომ სცოდნოდა ადგილობრივი მდგომარეობა და პირობები, არ მოითხოვდა სადაო საკითხის ამ სახით გადაჭრას, როგორც მაგალითად მოწერილობაში იქნება?

ამ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ, რომ კომისარიატმა ვასცა ბრძანება, მხოლოდ იმას შემდეგ, როცა მის ხელში მოგროვდა უტყუარი საბუთები. თუ ასეთი არ ექნება, მაშინ დადგენილებაც სხვა გვარი იქნება (გამოძიება ადგილობრივ, დაცვა ფაქტიური მფლობელობის და სხ.). მაგრამ რაკი კატეგორიული ბრძანებაა გაცემული, მაშინ დავა შესრულება-შეუსრულებლობაზე არ შეიძლება. ვიმეორებთ, პასუხის მგებელი ის ორგანოა, ვისი მიზეზითაც გაიცემა შ. ს. ს. კომისარიატის მიერ, კითხვაში აღნიშნული გარემოების მსგავსი ბრძანება. რევკომმა ყოველ შემთხვევაში უნდა მოიყვანოს სისრულეში მოწერილობა.

შეკითხვა 2. რა ხასიათის უნდა იყოს ის მოხსენება, რომელსაც რევკომები უდგენენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს: მოხსენება უნდა შეიცავდეს რევკომის ყველა განყოფილებათა მუშაობის დაწვრილებით აღნუსხვას, თუ შემოკლებულ ცნობათ?

პასუხი 2. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს უმეტესად ემორჩილება შინაგან საქმეთა სამმართველო ყველა ქვეგანყოფილებით, კომუნალური და იძულებითი სამუშაოს განყოფილება. ამათ შესახებ კომისარიატს უნდა მოუვიდეს ყოველ სამ თვეში სრული, დაწვრილებითი მოხსენება და დანარჩენი, რევკომთან არსებული განყოფილებების შესახებ ამოწურული, სტემატიური, საქმიანი მოხსენება, როგორც დამახასიათებელი მთელი რევკომის საერთო მუშაობისა და მაზრის მდგომარეობისა.

სხვა კომისარიატებს კი სათანადო განყოფილებანი რევკომისა უდგენენ დაწვრილებით მოხსენებას უმეშვეოდ.

თბილისი

საქართველოს რესპუბლიკის მანკრის, რაიონის და თაშის რეპოზიტი

თბილისის მაზრა

რაიონები.

- | | |
|---------------|---------------------------|
| ა) მარტყოფის | თ) წალკის (ს. ბარმაქსიზი) |
| ბ) სართიქალის | 1. ავქალის თემი |
| გ) საგარეჯოს | 2. თელეთის " |
| დ) ყარაიზის | 3. წყნეთის " |
| ე) ასურეთის | 4. დილაშის " |
| ვ) მანკლისის | 5. გომბორის " |
| ზ) აღბულაღის | 6. აგ-ტაგლის " |
| ც) კოჯორის | |

სიღნაღის მაზრა


თემები.

- | | |
|---------------------|---------------------|
| ა) ქოდალოს რაიონი | 15. ვარდისუბანის |
| 1. ნუკრიანის | 16. ბაისუბანის |
| 2. კაკაბეთის | დ) შირაქის რაიონი |
| 3. ყანდაურის | 17. წითელი-წყაროს |
| 4. არაშენდას | 18. ზემო-ქედის |
| 5. კაქრეთი | ე) მაჩხაანის რაიონი |
| 6. იორი-მულანლო | 19. ტიბაანის |
| ბ) გურჯაანის რაიონი | 20. საქობოს |
| 7. გურჯაანის | 21. ქვ. მაჩხაანის |
| 8. ველისციხის | 22. ზემო-მაჩხაანის |
| 9. ბაკურციხის | 23. ბოდბის ხევის |
| 10. ასაშენის | 24. მირზაანის |
| 11. ანავის | 25. კელმეჩურას |
| 12. კარდანახის | 26. ვაქირის |
| გ) ლავოდების რაიონი | 27. ბოდბეს |
| 13. ლავოდების | 28. ჯუგაანის |
| 14. ქაბუჯიანის | |

თელავის მაზრა

თემები.

- | | |
|---------------------|---------------------|
| ა) იყალთოს რაიონი | 10. შალაურის |
| 1. ქის ჯაურის | 11. კისის-ხევის |
| 2. ზემო ხოდაშენის | 12. კონდოლის |
| 3. ოციოს | 13. ქვემო ხოდაშენის |
| 4. რუისპირის | 14. ვანთის |
| 5. გულგულის | 15. ბუშატის |
| 6. ყარაჯალის | 16. კურას |
| 7. ვარდისუბანის | 17. ვაჩნაძიანის |
| 8. კურდღელაურის | 18. კალაურის |
| 9. თეთრი წყალის | 19. მაშაანის |
| ბ) წინანდლის რაიონი | 20. ურიბთუბანის |



- 20. ფშაველის რაიონი 29. საბურეს
- 21. ზემო-ალვანის 30. შილდის
- 22. ქვემო-ალვანის 31. ყვარელის
- 23. მალრაანის 32. აღდგომის
- 24. არტაანის 33. ძველი-გავაზ. რაიონი.
- 25. შაქრიანის 34. კუჯატანის
- 26. ლალისყურის 35. ჭიკანის
- 27. ენისელის რაიონი 36. ახალსოფელის
- 28. გრემის 37. არეშის
- 28. ალმატის 37. თივის

- 16. ხცისის
- 17. ქვიშეთის
- 18. სურამის რაიონი
- 19. ხიდისთავის რაიონი
- 18. ატენის
- 19. ახალსოფელის

- 20. ახალქალაქის რაიონი
- 20. შეტეხის
- 21. დოესის
- 22. კავთისხევის რაიონი
- 22. ქვემო-ნიჩბისი.

ახალქალაქის მაზრა.

თემები.

თიანეთის მაზრა

თემები

- 1. ხევსუთეთის (სოფ. ბარისახო) 8. ბორჯომის
- 2. ფშავის (სოფ. შალა-როს კარი) 9. ჰანკისის
- 3. ზემო-თიანეთის 10. მატან-მარილისის
- 4. არტაანის 11. საყდრონის
- 5. თიანეთის 12. საყარაულოს
- 6. ნაქალაქარის 13. ტოლაფ-სოფლის.
- 7. ახმეტის

დუშეთის მაზრა.

თემები.

- 1. ტინვალის 8. ქსნის (ს. ახალგორი)
- 2. შუა-არავვის პირის 9. კობორტის
- 3. შუბრაანის 10. შვადი-ჯვრის
- 4. საგურამოს 11. ქვემო-მთიულეთის
- 5. მცხეთის 12. ზემო-მთიულეთის
- 6. კობის 13. გრემის ხევის.
- 7. ყაზბეგის

სამხრეთ ოსეთის მაზრა (ს. ჯავა).

თემები.

- 1. ჯავის 5. ყემულთოს
- 2. როკის 6. ორტევის
- 3. ყორნისის 7. ბელოათის
- 4. წუნირის

გორის მაზრა.

თემები.

- ა) მეჯვრის ხევის რაიონი 9. შინდისის
- 1. ხელთუბანის 9. რუისის რაიონი
- 2. კარაღეთის 10. დირბის
- 3. ანდორეთის 11. გომის რაიონი
- ბ) ქვემო ქალის რაიონი 11. ალის
- 4. კასპის 12. ატოცის
- 5. ხურვალეთის 13. ავლევის
- გ) ტყვიავის რაიონი 13. კარაღეთის რაიონი
- 6. მერეთის 14. ზღუდერის
- დ) ცხინვალის რაიონი 15. წრომის
- 7. დიცის 15. ბორჯომის რაიონი
- 8. თამარაშენის 16. ხაშურის რაიონი

- ა) ბარაღეთის რაიონი 9. სათხის
- 1. კულიკამის 10. ეშტის
- 2. არავვის 11. კონდურის
- 3. ხიზაბაერის 12. გუმურდის რაიონი
- 4. ალასტანის 13. კარზახის
- 5. ბარაღეთის 13. ოქამის
- ბ) ბოგდანრვის რაიონი 14. ვაჩიანის
- 6. გორელის 15. ხერთვისის
- 7. სპასკის 16. გუმურდოს.
- 8. განზის

ბორჩალოს მაზრა (ს. ეკატერინფელდი)

თემები.

- ა) ეკატერინფელდის რა- 17. კიზილ-კილისის
- იონი. 17. კიზილ-კილისის
- 1. ეკატერინფელდი 18. დემურ-ბულაღის
- 2. დარბაზის 19. გამარეთის
- 3. ფახრადლს 20. დუმანისის
- 4. ქვეშის 21. სარვანის რაიონი
- 5. ძველ-ქვეშის 21. სარვანის
- 6. ბოლნის-კაპანაქინის 22. კიზილ-აჯიდის
- 7. არუხლოს 23. გეურ-არხის
- 8. იმირ-ასანის 24. დემურჩი-ასანის
- 9. ბოლოვნის ხაჩინის 25. ბაიდარის
- ბ) გორონცოვის რაიონი 26. ახალ-ალავერდის
- 10. გორონცოვის 26. ახალ-ალავერდის
- 11. ახალ მიხაილოვკის 27. შულავერის რაიონი
- 12. სარჩაპეტის 28. სადახლოს
- 13. პრივოლნოეს 29. ლამბალოს
- 14. ილმაზლოს 30. კაჩაგანის
- გ) ბაშკიჩეთის რაიონი 31. აშაგა-სერაღის
- 15. ბაშკიჩეთის 32. კირიხლის.
- 16. აშამლოს

ახალციხის მაზრა.

თემები.

- 1. აწყურის 6. იღუმალის
- 2. უდეს 7. კლდეს
- 3. ურაველის 8. ვარზანის
- 4. ლეპისის 9. ადიგენის
- 5. ვალეს

126

174

ქუთაისის მაზრა.

თემები.

- ა, ბ ქუთაისის I და II 24. კიკნაველეთის რაიონი
- | | |
|---------------------|-----------------------|
| 1. ოფურჩხეთის | 25. გორას |
| 2. რიონის | 26. სადემეტრაოს |
| 3. წყალტუბოს | 27. ვანის რაიონი |
| 4. პატრიკეთის | 28. ვანის |
| 5. ქოგნარის | 29. ამაღლების |
| 6. გოდოგანის | 30. დვალი შვილების |
| 7. ქვიტირის | 31. უნუთის |
| 8. ფარცხანაყანევის | 32. სამტრედიის რაიონი |
| 9. საყულიას | 33. კულაშის |
| 10. ბაში-ეწერის | 34. დიდი ჯიხაიშის |
| 11. მუხიანის | 35. იანეთის |
| 12. მალლაკის | 36. უწერის |
| 13. ტყიბულის რაიონი | 37. ქავანის |
| 14. მანდიკორის | 38. ლანი-ჯაჯანის |
| 15. კურსების | 39. გულეიკარის |
| 16. საწირეს | 40. გომას |
| 17. გურნის | 41. ტობანიერის |
| 18. სვირის რაიონი | 42. საბაიჯაოს |
| 19. სვირის | 43. გამოჩინებულის |
| 20. ობჩას | 44. ხონის რაიონი |
| 21. როდინოულის | 45. დანი-ქვიტირის |
| 22. ქვედა-სიმონეთის | 46. ცხუნკურის |
| 23. ზედა სიმონეთის | 47. ნახახულევის |
| 24. ბაღდადის რაიონი | 48. კუხის |
| 25. ბაღდადის | 49. გუბის. |
| 26. ზეკარის | |

შორაპნის მაზრა.

თემები.

- ა) ჩხარის რაიონი 18 საქარის
- | | |
|-----------------------|-----------------------|
| 1. ჩხარის. | 19. ლაშე-ღვერკის |
| 2. თერჯოლის | 20. ხარაგოულის რაიონი |
| 3. ზედასაზანოს | 21. ხარაგოული |
| 4. ქვედასაზანოს | 22. ამაშუკეთის |
| 5. თაფასის | 23. კიცხის |
| 6. მუხურის | 24. ლეღვან-მარგლისის |
| 7. საჩხერის რაიონი | 25. მოლოთის |
| 8. საჩხერის | 26. ხუნევის |
| 9. არგვეთის | 27. კიათურის რაიონი |
| 10. ქორეთის | 28. კაცხის |
| 11. ქალის | 29. მერევის. |
| 12. კარბოულის | 30. ხრეთის |
| 13. ლიჩის | 31. ქვაცხის |
| 14. ზესტაფონის რაიონი | 32. ჩხიროულის |
| 15. კლდეეთის | 33. წიჩქვალის |
| 16. შორაპნის | 34. რგანის |
| 17. შროშის | 35. საქველათუბანო |
| 18. ძირულის | 36. პერევისის |
| 19. დილიკოულის | |

რაჭის მაზრა (ქ. ონი)

თემები

- ა) უწერის რაიონი 15. წყის
- | | |
|----------------|---------------------|
| 1. გოლოლის | 16. აბარის |
| 2. ჭიორის | 17. სხვაეის |
| 3. ლების | 18. ამბროლოურის |
| 4. უწერის | 19. ნიკორწმინდის |
| ბ) ონის რაიონი | 20. კელიაღელის |
| 5. ჩასაველის | 21. ხოტევის |
| 6. წედისის | 22. ზნაკეის |
| 7. გაშქვის | 23. სადმელის |
| 8. ფარახეთის | 24. კრებალოს რაიონი |
| 9. შქერის | 25. ნამანევის |
| 10. ბაჯიხევის | 26. ბუგეულის |
| 11. ზვარეთის | 27. ცანის |
| 12. ბარის | 28. პატარა ონის |
| 13. სორის | 29. ხვანჭკარის |
| 14. ონის | 30. კეციშის |
- ბ) ამბროლოურის რაიონი

ლეჩხუმის მაზრა (დ. ცაგერი)

თემები.

- | | |
|----------------|----------------|
| 1. ცაგერის | 8. ჩოლოურის |
| 2. დეხვირის | 9. ლაშხეთის |
| 3. ლეიროშის | 10. ორბელის |
| 4. ნაკურალეშის | 11. ლაილაშის |
| 5. ზუბის | 12. ალბანის |
| 6. ოყურეშის | 13. ლასურიაშის |
| 7. ლენტეხის | 14. მექვენის |

ზემო-ხვანეთის მაზრა (ს. მულანო)

თემები.

- | | |
|-------------|-------------|
| 1. ბეზოს | 7. ფარის |
| 2. უშკულის | 8. ეწერის |
| 4. მესტიას | 9. ლენუერის |
| 5. მულახის. | 10. ლატალის |
| 6. მუყალის | 11. იპარის |

ზუგდიდის მაზრა

თემები.

- | | |
|----------------|----------------|
| 1. ზოგდიდის | 14. კოლის |
| 2. ყულის კარის | 15. ლეწურწუმეს |
| 3. ქაქვინჯის | 16. ლეიკინეს |
| 4. ჭკადუაშის | 17. ნათიხოლს |
| 5. ჯიხას-კარის | 18. ჯგალის |
| 6. კორცხელის | 19. ჯვარის |
| 7. კირცხის | 20. ფახულანის |
| 8. ობუჯის | 21. ლიის |
| 9. წალენჯიხის | 22. ქალის |
| 10. ჩხორა-წყუს | 23. ნიგოსიას |
| 11. ახუთის | 24. ჯოდეჯიანის |
| 12. მუხურის | 25. რიყის |
| 13. ხაბუმის | 26. კახათის |



- 27. დარჩელის
- 28. კოკის
- 29. ანაკლიის
- 30. ცაიშის
- 31. ხეთის
- 32. ხობის
- 33. ხორშის
- 34. ნოჯიხევის
- 35. ქარიატის
- 36. შუა-ხორგის
- 37. ქვალონის
- 38. ხორშის
- 39. აბასთუმანის
- 40. ნარაზენის
- 41. ხიბულორს
- 42. ახალ-ხიბულორს
- 43. საჯიჯაოს
- 44. ზანას
- 45. დიდინების.
- 46. ორულგე-ერგეტის
- 47. სეულგეის
- 48. საჩინოს

- 19. კონარის
- 20. ზემო-ხეთის
- 21. ნიგვზიანის
- 22. სუფსის
- 23. აკეთის
- 24. ჯუმეთის
- 25. ჯურუყმეთის
- 26. ცაცხვიანის
- 27. ჩოჩხათის
- 28. ზომლეთის
- 29. ძიძითის
- 30. აცანის
- 31. ლანჩხუთის რაიონი
- 32. შუხუთის
- 33. ჩიბათის
- 33. ნიგოთის

მათამის მხარე

თ ე მ ე ბ ი. (ს. ქობულეთი)

- ა) კინტრიშის რაიონი
- ბ) ქვედა აჭარის რაიონი
- 1. ჩაქვა (ს. ქელი)
- 2. ორთაბათო მის
- 3. კახაბერის
- გ) ზედა-აჭარის რაიონი (ს. ხულო)

შენი შვნა 1. ებეჭდავთ ადგილობრივ რევეკომთა სიას, რადგან რესპუბლიკის მრავალი დაწესებულება თხოულობს ასეთი სიის მიწოდებას.

შენი შვნა 2. რიცხვი მაჩვენებელი ქართული ცრფრით ნიშნავს რაიონების სახელწოდებას, არაბული კი თემებისა.

შენი შვნა 3. ბრჩილებში ჩასმულის სოფლის სახელები რევეკომების უჩვენებს რევეკომების ადგილმდებარეობას ისეთ რაიონებსა და თემებში, სადაც რაიონის და თემის სახელწოდება რომელიმე კუთხის სახელს გამოხატავს.

შენი შვნა 4. იმ მაზრების სიაში, სადაც რაიონები არ არის მოხსენებული რაიონის რევეკომები არ არსებობენ.

შენი შვნა 5. რაიონის სახელწოდების ქვემოთ ჩამოთვლილი თემები ამ რაიონის ფარგლებში შედის და თემის რევეკომები ასეთ რაიონის რევეკომს ემორჩილება.

შენი შვნა 6. წინა შენი შვნაში აღთქმული წესი რაიონის და თემის რევეკომების დამოკიდებულებისა არსებობს ყველა მაზრაში გარდა ტფილისისა, სადაც თემის რევეკომები უშუალოდ ემორჩილებიან სამაზრო რევეკომს (გარდა გომბორის თემისა), ხოლო რაიონის რევეკომები ამ მაზრაში პირველი საფეხურის ორგანოს წარმოადგენენ.

შენი შვნა 7. ოზურგეთის მაზრაში ყველა თემი უშუალოდ ემორჩილება მაზრას, გარდა სამისა, რომელნიც ლანჩხუთის რაიონში შედიან.

ახალსენაკის მაზრა


თ ე მ ე ბ ი.

- 1. თეკლათის
- 2. ქვემო-ქალაღიღის
- 3. ზემო-ქალაღიღის
- 4. ნოსირის
- 5. სუჯუნას
- 6. წყემის
- 7. სეფიეთის
- 8. ონტოფოს
- 9. აბაშის
- 10. ქვათანას
- 11. მარანის
- 12. სამიქაოს
- 13. ძველი-სენაკის
- 14. გეჯეთის
- 15. ეკის
- 16. ბანძის
- 17. ლეხინდრაოს
- 18. ჯალო-აბეღათის
- 19. მარტვილის
- 20. კინჩხის
- 21. საგვაზაოს
- 22. ნახუნოვოს
- 23. სალხინოს
- 24. გაჭედილის
- 25. კიწიას
- 26. თამაკონის
- 27. კურძუს
- 28. ნაქალაქევის
- 29. ფოცხოს
- 30. გეზათ-გულუხეთის
- 31. უშაფათის
- 32. ქოლოზნის
- 33. ნავსაკოვოს
- 34. გორდის
- 35. ხუნწის
- 36. ლეძაძაშეის

ოზურგეთის მაზრა

თ ე მ ე ბ ი

- 1. გურიანთის
- 2. სილოურის
- 3. ლიხაურის
- 4. ოზურგეთის
- 5. ნატანების
- 6. ხვარბეთის
- 7. სამხეთოსი
- 8. მიქელ-გაბრიელის
- 9. ბახვის
- 10. დვამზუს
- 11. შემოქმედის
- 12. ბუქნარის
- 13. ნავგომარის
- 14. ჩოხატაურის
- 15. შუა-სურგების
- 16. ზემო-სურგების
- 17. ასკანის
- 18. დიდი ვანის



შინაარსი



ქართული
ლიბრეოთეკა

გვ. XX-ე №-ში მოთავსებულ მასალები:

- 1) დეკრეტი № 78 საქ. სოც. რესპ. რევ. კომიტეტისა და წესით დამთავრდეს და რა წესით მოისმოს საქმეები, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაშია. — აუთ აქ გაუქმებულ სასამართლო დაწესებულებათა წარმოებაში.
- 2) ბრძანება № 88 საქართ. სოც. საბჭ. რევ. კომიტეტისა.
- 3) « № 89 საქართ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა.
- 4) « № 90 საქართ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა.
- 5) დადგენილება № 91 საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა მოაწოდებს აქტების ძალაში შესვლის წესის შესახებ.
- 6) « № 92 საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა ამინსტიის შესახებ. გვ. 3—5.
- 7) « № 93 საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს ორგანიზაციის გამო ამა 1921 წ. აგვისტოს 5 თარიღით 52 №-ით გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.
- 8) « № 94 საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა იუსტიციის სახალხო კომისარიატის დასჯა-გასწორების განყოფილებასთან განმანაწილებელი კომისიის დაარსების შესახებ.
- 9) ბრძანება შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატისა.
- 10) « შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატისა ქალაქების, მაზრების, რაიონების და თემების რეგულაციებს.
- 11) ციკლოგრაფიად — ეგვლა მაზრის, რაიონის და თემის რეგულაციებს.
- 12) « ეგვლა მაზრის და ბათუმის შინაგან რეგულაციებს.
- 13) ინსტრუქცია იუსტიციის სახ. კომისარიატისა საბჭოთა საქმეების მონაწილეთა წინამძღოვნების სიის შესადგენად.
- 14) „ სისხლის სამართალში ბრძანებულთა დაშვებების სიის შესადგენად. გვ. 8—9.
- 15) ინსტრუქცია მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატისა მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიის მოქმედების შესახებ.
- 16) № 21124 ასლი ციკლოგრაფიისა ეგვლა მაზრის მიწად-მოქმედების განყოფილებებს, ასლი მაზრის რეგულაციებს.

არაოფიციალური განყოფილება.

- 17) აკრძალული საკითხი საბჭოთა საქართველოში გვ. 11—15.
- 18) ადმინისტრაციულ ერთეულთა განყოფილებებში გვ. 15—20 (შემდეგი).
- 19) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოხსენებები გვ. 16—18.
- 20) იძულებითი სამუშაოს მთავარი სამმართველო და მისი მოდერნიზაცია გვ. 19—20.
- 21) კომუნალური მეურნეობა.
- 22) სრულიად საქართველოს კომუნალურ განყოფილებათა ცამკეების შიდაგეგმა ვრდილობა. გვ. 21—22.
- 23) კომუნალური მეურნეობის ში. სამმართველოს მოდერნიზაცია. გვ. 22—24.
- 24) მაზრის რეგულაციებში გვ. 24—27.
- 25) კითხვა-პასუხი — გვ. 27—31.